ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი
4
მაისი
№ 18 (2746)
გამოცემის
58-ე წელი
1990

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მწერალთა კავშირის წესდება

## პროექტი

### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს მწერალთა კავშირი არის მწერლების ნებაყოფლობითი, თვითმმართველობაზე დაფუძნებული, პროფესიული შემოქმედებითი ორგანიზაცია, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

2. საქართველოს მწერალთა კავშირი ილვწის ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ეროვნული, ჰუმანისტური და დემოკრატიული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, ზრუნავს ქართველი ერის ზნეობრივი აღორძინების, სულიერი მთლიანობისა და ეროვნული განუყოფლობის დამკვიდრებისათვის.

3. საქართველოს მწერალთა კავშირი აქტიურად მონაწილეობს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, მხარს უჭერს დემოკრატიისა და ეროვნული კონსოლიდაციისათვის მებრძოლ ძალებს, აღიარებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეას და ილვწის მისი განხორციელებისათვის.

4. საქართველოს მწერალთა კავშირი, თანასწორუფლებიანი, კონკრეტული ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს სსრკ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების მწერალთა კავშირებთან, მწერალთა შემოქმედებით ორგანიზაციებთან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მწერალთა ასოციაციებთან, ჟურნალ-გაზეთებსა და გამომცემლობებთან, სხვა საზოგადოებრივ, სამეცნიერო, კულტურულ და სამეურნეო დაწესებულებებთან.

5. საქართველოს მწერალთა კავშირი აერთიანებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა სამწერლო ორგანიზაციას.

6. საქართველოს მწერალთა კავშირის ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

### II. საქართველოს მწერალთა კავშირის მუშაობის პრინციპები, მიზნები და ამოცანები

7. 1. საქართველოს მწერალთა კავშირი შედგება ჟანრობრივი გაერთიანებების, თანამოაზრეთა ასოციაციებისა და ცალკეული წევრებისაგან. თანამოაზრეობის პრინციპით შექმნილი ასოციაცია, რომელიც შეიძლება ემყარებოდეს მწერალთა ჯგუფის საერთო მსოფლმხედველობრივ, ესთეტიკურ, მხატვრულ და ლიტერატურულ პოზიციას, უფლებამოსილად ითვლება, თუ აერთიანებს არანაკლებ 60 მწერალს. ამასთან, დაუშვებელია ერთი და იგივე პიროვნების ერთდროულად ყოფნა რამდენიმე ჟანრობრივ გაერთიანებასა და ასოციაციაში.

ასოციაციამ, რომელიც არ ემყარება ჟანრობრივ პრინციპს, თავისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ დეკლარაციით უნდა მიმართოს მწერალთა კავშირის სათათბიროს. სათათბიროს მიერ დეკლარაციის დამტკიცების მომენტიდან ასოციაცია მოქმედად ითვლება და შეუძლია მწერალთა კავშირის წესდების ფარგლებში იმოქმედოს, როგორც დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ, დააარსოს საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები, აირჩიოს თავისი წარმომადგენელი მწერალთა კავშირის საბჭოში და სხვა (ანალოგიური უფლებები გააჩნიათ ჟანრობრივ გაერთიანებებს). ასოციაციები და ჟანრობრივი გაერთიანებები საბჭოში წარმომადგენლობის უფლებას კარგავენ, თუ მის წევრთა რაოდენობა მწერალთა კავშირის წევრთა საერთო რაოდენობის ერთ მეათედზე ნაკლებია.

8. 2. საქართველოს მწერალთა კავშირი ამ წესდებით აღიარებს მწერლის შემოქმედებით თავისუფლებას, დაუშვებლად მიიჩნევს მწერალთა კავშირის ფარგლებში ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობას, აგრეთვე, ლიტერატურაში ცენზურის ყოველგვარ ფორმას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე ეხება სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებათა დაცვას.

9. 3. საქართველოს მწერალთა კავშირი შეუწყნარებლად მიიჩნევს მწერლის ან მწერალთა ჯგუფის დევნის ყოველგვარ ფორმას მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული შეხედულებების გამო.

10. 4. ამ წესდებით გარანტირებულია საქართველოს მწერალთა კავშირის ყველა წევრის თანასწორი უფლება, დაუშვებელია რაიმე პრივილეგია კავშირის წევრთა ადმინისტრაციულ და არჩევით თანამდებობაზე ყოფნის, წინანდელი დამსახურების, ჯილდოების, პრემიების, წოდებების და სხვა წარჩინებათა გამო.

11. 5. საქართველოს მწერალთა კავშირი იცავს თავისი წევრების საავტორო, მოქალაქეობრივ და სოციალურ ინტერესებს სახელმწიფო, საგამომცემლო, სალიტერატურო პრესის და სხვა ორგანოებში, ილვწის როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველ მწერალთა ნაწარმოებების დროული გამოცემისათვის, მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობის დაცვის, შესწავლისა და გამოქვეყნებისათვის.

12. 6. ახორციელებს ღონისძიებებს საქართველოს მწერალთა ორგანიზაციებში აქტიური შემოქმედებითი ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის, მიმდინარე ლიტერატურული პროცესების შესწავლისა და ანალიზის, სხვადასხვა თაობის მწერალთა შემოქმედებითი მიღწევების დროული წარმოჩენისათვის. აწყობს განხილვებს, დისპუტებს, კონფერენციებს, აღნიშნავს იუბილეებს.

13. 7. ზრუნავს მწერალთა ახალი თაობის აღზრდისათვის, მათი პროფესიული დაოსტატებისა და ლიტერატურულ ასპარეზზე დამკვიდრებისათვის.

14. 8. საქართველოს მწერალთა კავშირი ესწრაფვის საერთაშორისო ლიტერატურული ურთიერთობების გაფართოებასა და განვითარებას, ხელს უწყობს საზღვარგარეთული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების თარგმნას ქართულ ენაზე და პირიქით.

15. 9. საქართველოს მწერალთა კავშირი ახორციელებს ღონისძიებებს მწერალთა ნორმალური შემოქმედებითი და საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. თავისი შეხედულებისამებრ აყალიბებს და აუქმებს კავშირის განყოფილებებს, გამომცემლობებს, ჟურნალებს, ალმანახებს, გაზეთებს, სხვა დაწესებულებებს. აარსებს ლიტერატურულ პრემიებს, ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს წარადგენს საქართველოსა და საერთაშორისო პრემიებზე.

16. 10. საქართველოს მწერალთა კავშირი სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით საქართველოს უზენაეს საბჭოში.

17. 11. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სახელმწიფო ორგანო (უწყება, დაწესებულება) მიიღებს დაუსაბუთებელ, არაკომპეტენტურ გადაწყვეტილებას, რომელიც ზღუდავს ან ზიანს აყენებს საგამომცემლო საქმეს, მწერალთა ინტერესებსა და სალიტერატურო ცხოვრებას, მწერალთა კავშირი აჩერებს ამ აქტის მოქმედებას და საკითხი განსახილველად შეაქვს ხელისუფლების ორგანოებში ან სასამართლოში.

18. 12. ყველა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტი, რომელიც ეხება ლიტერატურულ, საგამომცემლო საქმეს, ავტორის უფლებას, სატირაჟო და საჰონორარო პოლიტიკას, ლიტერატურულ პრესას, მუშავდება მხოლოდ და მხოლოდ მწერალთა კავშირთან შეთანხმებით, მისი მონაწილეობით და მისი თანხმობით წარედგინება ხელისუფლების ორგანოებს.

### III. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები, მათი უფლებები და მოვალეობები

19. 1 საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი შეიძლება იყოს საქართველოში ან მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები პროფესიონალი მწერალი, რომელიც აღიარებს საქართველოს მწერალთა კავშირის წესდებას და თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით ემსახურება ქართული ლიტერატურის ინტერესებს.

20. 2. დასაშვებია საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო წევრებად იმ უცხოენოვან მწერალთა არჩევა, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში ან აქვთ სხვა დამსახურება ქართველი ერის წინაშე. საპატიო წევრად არჩევის საკითხს წყვეტს მწერალთა კავშირის სათათბირო.

21. 3. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებად მსურველთა მიღება ხდება ფარული კენჭისყრით ჟანრობრივი გაერთიანების ან ასოციაციის საერთო კრებაზე. საერთო კრების გადაწყვეტილებას, ასევე, ფარული კენჭისყრით ამტკიცებს მწერალთა კავშირის სათათბირო. მიღებულად ითვლება მწერალი, რომელიც მოაგროვებს ხმების ორ მესამედს მაინც, კენჭისყრაში მონაწილეთა საერთო რიცხვიდან.

22. 4. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებს ეძლევათ ერთიანი ნიმუშის საწევრო ბილეთი.

#### საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს უფლება აქვს:

23. 5. აირჩიოს და არჩეულ იქნას მწერალთა კავშირისა და მისი ორგანიზაციების ნებისმიერ ხელმძღვანელ ორგანოში და თანამდებობაზე.

24. 6. თავისი სურვილისა და შეხედულების მიხედვით შევიდეს ჟანრობრივ გაერთიანებაში და ასოციაციაში, ან ჩამოაყალიბოს ისინი.

25. 7. ისარგებლოს მწერალთა კავშირისა და მისი ფონდების მატერიალური დახმარებით, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვისა და საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მომსახურებით.

26. 8. იქონიოს სრულფასოვანი ინფორმაცია მწერალთა კავშირის ნებისმიერი ხელმძღვანელი ორგანოსა და ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

27. 9. წამოაყენოს საკუთარი წინადადებები, საჯარო გამოსვლებით, პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებებით დაიცვას თავისი აზრი და პოზიცია, გააკრიტიკოს მწერალთა კავშირის ნებისმიერი ხელმძღვანელის, ორგანოსა და ორგანიზაციის მოღვაწეობა.

28. 10. მიმართოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს, თვით მწერალთა ყრილობამდე, თავისი შემოქმედებითი, პროფესიული და საყოფაცხოვრებო ინტერესების დაცვის მოთხოვნით.

29. 11. თავისი სურვილით გავიდეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან.

#### საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ვალდებულია:

30. 12. დაიცვას საქართველოს მწერალთა კავშირის წესდება.

31. 13. აქტიური მონაწილეობა მიიღოს მწერალთა კავშირის მუშაობაში.

32. 14. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი შეიძლება კავშირიდან გაირიცხოს, თუ უხეშად დაარღვევს საწესდებო მოთხოვნებს, მხილებული იქნება ანტიეროვნულ და ანტიჰუმანურ მოქმედებაში, სხვა სახის ზნეობრივ დანაშაულში. მწერალთა კავშირიდან გარიცხვის საკითხს იხილავს და ფარული კენჭისყრით წყვეტს მწერალთა კავშირის სათათბირო. ამასთან, გარიცხულ წევრს უფლება აქვს აპელაციით მიმართოს მწერალთა კავშირის მორიგ ყრილობას, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

33. 15. მწერალთა კავშირის წევრები იხდიან შესასვლელ საწევრო შესატანს 10 მანეთის ოდენობით და ყოველწლიურ საწევრო გადასახადს 5 მანეთის ოდენობით.

### IV. საქართველოს მწერალთა კავშირის მართვის სტრუქტურა, ხელმძღვანელი ორგანოები

34. 1. საქართველოს მწერალთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა მწერალთა ყრილობა, რომლის მოწვევა ხდება 5 წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე ყრილობა შეიძლება მოწვეულ იქნას, თუ ამას მოითხოვს მწერალთა კავშირის წევრთა ერთი მესამედი, ან ყრილობის მოწვევის გადაწყვეტილებას მიიღებს მწერალთა კავშირის სათათბირო.

#### საქართველოს მწერალთა ყრილობა:

35. 2. ამტკიცებს საქართველოს მწერალთა კავშირის წესდებას და შეაქვს ცვლილებები მასში.

36. 3. პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, ალტერნატიული პრინციპით ირჩევს მწერალთა კავშირის პრეზიდენტს 5 წლის ვადით (არა უმეტეს ორი საარჩევნო ვადისა). არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმების ორ მესამედს. იმ შემთხვევაში თუ კანდიდატთაგან ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, ტარდება არჩევნების მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომელთაც მიიღეს სხვებზე მეტი ხმა. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 50 პროცენტზე მეტს.

37. 4. მწერალთა კავშირის ყრილობებს შორის მწერალთა კავშირის მთელ მუშაობას წარმართავს მწერალთა კავშირის სათათბირო, რომლის წევრებსაც ალტერნატიულ საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ირჩევენ ჟანრობრივი გაერთიანებებისა და ასოციაციების საერთო კრებები (წარმომადგენლობის ნორმაა თითოეული გაერთიანებიდან და ასოციაციიდან 10 კაცზე ერთი კაცი).

38. 5. სათათბიროს სხდომებს შორის, მწერალთა კავშირის მიმდინარე საქმიანობას წარმართავს მწერალთა კავშირის საბჭო, რომელიც შედგება ჟანრობრივი გაერთიანებებისა და ასოციაციების თითო წარმომადგენლისაგან (წარმომადგენლის არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით, უშუალოდ ყრილობის წინ, ჟანრობრივი გაერთიანებებისა და ასოციაციების საერთო კრებებზე). საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მწერალთა კავშირის ყრილობა (იგულისხმება, რომ საბჭოს წევრის თანამდებობა შეიძლება იყოს უხელფასო და მათ ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა ცალკეულ ჟანრებსა და ასოციაციებში მუშაობის წარმართვისათვის, ასევე მათი ინტერესების დაცვისათვის. თუ საბჭოში თავისი წარმომადგენლის მუშაობა ვერ დააკმაყოფილებს მის ამომრჩევლებს, ჟანრობრივი გაერთიანების ამ ასოციაციის საერთო კრებას შეუძლია ვადამდე გამოიწვიოს იგი).

39. 6. პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით ირჩევს ლიტფონდის თავმჯდომარეს (არჩევნების წესი იგივეა, რაც მწერალთა კავშირის პრეზიდენტისა).

40. 7. კანდიდატთა რიცხვის შეუზღუდავად ფარული კენჭისყრით ირჩევს ლიტფონდის გამგეობას (25-30 კაცი). ლიტფონდის ფუნქციებს, რომელშიც შედის მწერალთა კავშირის მთელი სამეურნეო საქმიანობა, მწერალთა საბინაო და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტა, კონკრეტულად განსაზღვრავს ლიტფონდის წესდება, რომელსაც ამტკიცებს მწერალთა კავშირის ყრილობა.

41. 8. ფარული კენჭისყრით ირჩევს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს.

42. 9. ამტკიცებს მწერალთა კავშირის რეგიონალური განყოფილებების ხელმძღვანელობასა და მათი ლიტერატურული ორგანოების რედაქტორებს, რომელთა არჩევა ფარული კენჭისყრით ხდება ამ განყოფილებათა საერთო კრებების მიერ უშუალოდ ყრილობის წინ.

43. 10. ისმენს და აფასებს მწერალთა კავშირის პრეზიდენტის ანგარიშს სათათბიროსა და საბჭოს მიერ ყრილობებს შორის გაწეული მუშაობის შესახებ, ისმენს და აფასებს ლიტფონდის თავმჯდომარისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ანგარიშებს, განსაზღვრავს მწერალთა კავშირის მუშაობის ძირითად მიმართულებებს მორიგ ყრილობამდე.

14. 11. ყრილობაზე დელეგატების არჩევა ხდება ასოციაციებისა და ჟანრობრივი გაერთიანებების საერთო კრებებზე. წარმომადგენლობის ნორმებს განსაზღვრავს მწერალთა კავშირის საბჭო.

#### მწერალთა კავშირის სათათბირო:

45. 12. კოორდინაციას უწევს მწერალთა კავშირის ყველა შემოქმედებითი და საფინანსო-სამეურნეო ორგანიზაციის მუშაობას, პერიოდულად ისმენს მათ ანგარიშებს, ამტკიცებს ახალი ორგანიზაციების შექმნის გადაწყვეტილებას, მათ დებულებებს და დეკლარაციებს.

(დასასრული მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

46. 13. ალტერნატიული პრინციპით ირჩევს მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოების რედაქტორებს.

ამტკიცებს ჟანრობრივი გაერთიანებებისა და ასოციაციების ლიტერატურული ორგანოების შექმნის გადაწყვეტილებას.

47. 14. განსაზღვრავს საქართველოს მწერალთა კავშირის თანამშრომლობის ხასიათს სხვა შემოქმედებით კავშირებთან და ორგანიზაციებთან, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

48. 15. ღებულობს მიმართვებს, დეკლარაციებს, განცხადებებს სხვადასხვა შემოქმედებით ან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით.

49. 16. როგორც წესი, წელიწადში ერთხელ მაინც ისმენს ლიტფონდის გამგეობის, გამომცემლობების, სალიტერატურო ორგანოების, ასევე სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

50. 17. მწერალთა კავშირის სათათბიროს სხდომები ტარდება არანაკლებ ორ თვეში ერთხელ.

## საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო:

51. 18. წარმართავს მწერალთა კავშირის მთელ მიმდინარე საქმიანობას მწერალთა ყრილობებსა და სათათბიროს სხდომებს შორის, კონტროლს უწევს მათი გადაწყვეტილებების შესრულებას.

52. 19. ამტკიცებს საქართველოს მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველს, იურიდიული და საგარეო განყოფილებათა გამგეებს, განსაზღვრავს მწერალთა კავშირის აპარატის სტრუქტურას.

53. 20. წყვეტს მწერალთა კავშირის ყრილობებისა და სათათბიროს სხდომების მოწვევასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს.

54. 21. ისმენს საბჭოს წევრების ანგარიშებს ცალკეული ჟანრობრივი გაერთიანებებისა და ასოციაციების მუშაობის შესახებ.

55. 22. ღებულობს გადაწყვეტილებებს მწერალთა კავშირის ცხოვრებაში წამოჭრილი მიმდინარე საკითხების შესახებ.

56. 23. მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ ითვლება მწერალთა კავშირის პრეზიდენტი. პრეზიდენტი მიმდინარე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის საბჭოს შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს (მოადგილეებს).

## მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისია:

57. 24. ამოწმებს საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანიზაციებში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას.

58. 25. კონტროლს უწევს მწერალთა კავშირის ფინანსების ხარჯვის სისწორეს და შრომის დისციპლინის დაცვას მწერალთა კავშირის ორგანიზაციებში.

59. 26. დახმარებას უწევს მწერალთა კავშირის სათათბიროს ან საბჭოს მიერ მწერალთა კავშირის ორგანიზაციებში ცალკეული საფინანსო, სამეურნეო და სხვა საკითხების შესასწავლად შექმნილ დროებით კომისიებს.

## V. საქართველოს მწერალთა კავშირის სამართლებრივი დებულება, მისი სახსრები და ლიკვიდაციის წესი

60. 1. საქართველოს მწერალთა კავშირს შეუძლია შეიძინოს და გაყიდოს ქონება, დადოს ხელშეკრულებები, ჩამოაყალიბოს კოოპერატივები, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაციები და თავისი შეხედულებისამებრ გააუქმოს ისინი. საქართველოს მწერალთა კავშირს აქვს საგამომცემლო უფლება, შეუძლია დააარსოს გამომცემლობები, ჟურნალ-გაზეთები, იქონიოს წიგნის მაღაზიები, შემოქმედებითი სახლები, ფონდები და სხვა. საქართველოს მწერალთა კავშირი ხსნის და ხურავს ჩვეულებრივ და სავალუტო ანგარიშებს.

61. 2. საქართველოს მწერალთა კავშირი არის იურიდიული პირი, აქვს შტამპი, მრგვალი ბეჭედი და საკუთარი ანგარიშის ნომერი სახელმწიფო ბანკში.

62. 3. საქართველოს მწერალთა კავშირის სახსრებს წარმოქმნის:

ა. შესავლელი და ყოველწლიური საწევრო გადასახადი.

ბ. გამომცემლობების, ჟურნალ-გაზეთების, მისდამი დაქვემდებარებული სხვა დაწესებულებებიდან მიღებული შემოსავალი.

გ. სხვადასხვა დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან, კერძო პირთაგან მიღებული შემოწირულებანი.

დ. ლიტფონდის ანარიცხებიდან მიღებული შემოსავალი.

63. 4. საქართველოს მწერალთა კავშირის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს მწერალთა ყრილობის დადგენილებით. ლიკვიდირებული კავშირის სახსრებისა და ქონების საკითხს გადაწყვეტს სალიკვიდაციო კომისია.

## ალტერნატიული ვარიანტი

IV განყოფილების 37. 4. მუხლისათვის:

ყრილობებს შორის მწერალთა კავშირის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობისათვის, ფარული კენჭისყრით, ალტერნატიულ საფუძველზე ირჩევს მწერალთა კავშირის სათათბიროს (75-80 კაცი). სათათბიროს წევრებად კანდიდატები შეიძლება დაასახელონ ჟანრობრივმა გაერთიანებებმა და ასოციაციებმა, ასევე, მწერალთა კავშირის თითოეულ წევრს უფლება აქვს წამოაყენოს თავის კანდიდატურა სათათბიროს შემადგენლობაში ასარჩევად. არჩეულად ითვლებიან კანდიდატები, რომელნიც მიიღებენ ხმების უბრალო უმრავლესობას.

საქართველოს მწერალთა კავშირის წესდების პროექტის შემმუშავებელი კომისია

◆ ◆ ◆

## კომისიისაგან

საქართველოს მწერალთა კავშირის წესდებაში, ბუნებრივია, არ შეიძლება შენარჩუნებულ იქნას ის ძველი სულისკვეთება და სტრუქტურები, რომელიც ძირითადად ოცდაათიან წლებში ჩამოყალიბდა და ემყარება ხელისუფლების ცენტრალიზაციის პრინციპს. მწერალთა კავშირი მრავალი წლის განმავლობაში განიხილებოდა, როგორც იდეოლოგიური დაწესებულება და ამდენად, შორს იყო შემოქმედებითი პროცესის თავისუფლებისა და თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი დემოკრატიული სულისკვეთებისაგან.

წესდების წინამდებარე პროექტიც, რასაკვირველია, სრულად ვერ ასახავს და აკმაყოფილებს თანამედროვე ქართული მწერლობის წინაშე მდგარ ამოცანებს, მაგრამ მას არსებითი ცვლილებები შეაქვს მწერალთა ორგანიზაციის ახლანდელ სტრუქტურაში და ამკვიდრებს მეტ დემოკრატიას, აფართოებს მწერალთა უფლებებს.

ეს წესდება უნდა მივიჩნიოთ გარდამავალი ეტაპის დოკუმენტად, რომლის ფორმირება გაგრძელდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების განვითარების კვალობაზე, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის წესდებამ საბოლოო სახე შეიძლება მიიღოს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ.

კომისია იმედს გამოსთქვამს, რომ მწერლები ყურადღებით მოეკიდებიან ჩვენი სამწერლო ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვას და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მის სრულყოფაში.

ყველა შენიშვნა და წინადადება, რომელსაც კომისია მადლობით მიიღებს, გთხოვთ გამოგზავნოთ საქართველოს მწერალთა სახლში, წესდების პროექტის სარედაქციო ჯგუფის სახელზე (მაჩაბლის ქ. № 13). ამასთან, გთხოვთ, ამა თუ იმ მუხლის გარშემო შენიშვნები, დამატებები და წინადადებები ჩამოაყალიბოთ გარკვევით, შემოგვთავაზოთ თქვენეული ფორმულირებები, ამ შენიშვნებისა და წინადადებების ნაწილს კომისია არა მარტო გაითვალისწინებს, არამედ გამოაქვეყნებს პრესაში ან ალტერნატიული სახით დაურთავს წესდების პროექტის საბოლოო ვარიანტს.

შენიშვნებისა და წინადადებების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 31 მაისი.



# ფიქრები ბაგრატის ტაძარზე

ქუთაისის მრავალსაუკუნოვან იუბილესათვის მზადების ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს ბაგრატის ტაძრისა და მისი შემოგარენის აღდგენა-რესტავრაცია და კონსერვაცია. რესპუბლიკაში მრავალი ძეგლია მიმოფანტული. ბოლო დროს სტიქიური უბედურება დაატყდა თავს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონს. უსახლკაროდ დარჩენილთათვის მრავალი სახლი შენდება. ამას ემატება სამშენებლო მასალების დეფიციტი. რესპუბლიკის მთავრობას უჭირს საკმარისი სახსრების გამოყოფა.

როგორც ცნობილია, ბაგრატის ტაძრის გაწმენდა და შემდეგ აღდგენა-რესტავრაცია 1984 წლის მაისიდან დაიწყო.

გაიჩეხა ტყე და გაუვალი ბარდნარი, გაიწმინდა ტაძრისა და ციხის მიმდებარე ტერიტორია, სათავსოები, აღებული იქნა ციხის ზღუდეებზე მიშენებული 19 საცხოვრებელი სახლი, ყოფილი საბუღალტრო სკოლის შენობა და სახელეო კოშკი. შესრულდა კოლოსალურად დიდი, შრომატევადი სამუშაოები.

ეს იყო ქალაქის საწარმოო დაწესებულებათა, ორგანიზაციების, მშრომელების, ინტელიგენციის და ყველა მცხოვრების, ქუთაისის მაშინდელი ხელმძღვანელების ურთიერთთანადგომისა და ენთუზიაზმის შედეგი.

მაღალხარისხოვნად შესრულდა ე. წ. კათოლიკების უბნის რეკონსტრუქცია, წარმატებით მიმდინარეობს სევასტოპოლის ქუჩის ადაპტაცია-რეკონსტრუქცია, ახალი ცხოვრება დაიწყო საფიჩხიის უბანმა.

მაგრამ ზემოთაღნიშნული საკითხი კვლავ ითხოვს ყურადღებას და დაგროვილი პრობლემების დროულად გადაჭრას.

მაგალითად: ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ადაპტაცია-რეგენერაციის სამუშაოების მართვის მწყობრი სისტემა.

ცოტა ხნის წინათ ტელევიზიით გამოვიდა კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, პროფესორი ირაკლი ციციშვილი, რომელმაც თქვა, თითქოს ბაგრატის ტაძარზე რესტავრაციისა და კონსერვაციის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება და სამეცნიერო საბჭო განიხილავს მისი დახურვის საკითხსო.

მე არ მინდა პატივცემულ პროფესორს შევედავო, მაგრამ შემომრჩა ტაძარზე — I ეტაპზე დასამთავრებელი სამუშაოების ნუსხა, რომელიც ხელმოწერილია მთავარი სამმართველოს კოლეგიის წევრის სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების მაშინდელი დირექტორის რევაზ საყვარიშვილის მიერ (7. 8. 1985 წ.) იგი შეთანხმებული იყო ამ სამმართველოს განყოფილების გამგესთან, ბატონ ვახტანგ ცინცაძესთან და თვით ბატონ ირაკლი ციციშვილთან. შესასრულებელი სამუშაოები ნუსხაში დროის ჩვენებით არის აღწერილი. მასში გათვალისწინებულია სამი ისეთი საკითხი, რომლის შესრულების შემდეგაც გამოიკვეთებოდა, შესაძლებელია თუ არა ტაძრის დახურვა.

მრავალ საკითხზე შეიძლებოდა დღეს მსჯელობა, მაგრამ აღარ მინდა მკითხველის ყურადღება გადავღალო.

თუ მკითხველი დაინტერესდება და რედაქცია მიზანშეწონილად ჩათვლის, მოაწყოს დიალოგი ტაძართან დაკავშირებული საკითხების გასაშუქებლად, სიამოვნებით მივიღებდი მასში მონაწილეობას, რადგანაც (თავის ქებაში თუ არ ჩამომართმევთ) მის გაწმენდა, აღდგენა-რესტავრაციაში თავის დროზე მეც მიმიღია პატარა წვლილი.

და ბოლოს, დღეს, როცა ბევრ რამეს ახლებურად ვუყურებთ, მიზანშეწონილად მიმაჩნია ერთი ასეთი წინადადება შემოგთავაზოთ:

ბაგრატის ტაძარი ასეული წლების მანძილზე იდგა დანგრეული, გაპარტახებული და დანაგვიანებული; ალბათ კიდევ დიდხანს იქნებოდა ასეთ მდგომარეობაში, ჩვენს თვალწინ მეორედ რომ არ დაბადებულიყო. ხელახალი სიცოცხლე რომ არ დაეწყო. ამ საქმის ინიციატორები კი იყვნენ ქუთაისის პარტიის საქალაქო კომიტეტი და საქალაქო საბჭო, ყველაზე მეტად — პარტიის ქალაქკომის მაშინდელი პირველი მდივანი, აწ განსვენებული ბატონი მამუკა ასლანიკაშვილი, ვინც საფუძველი ჩაუყარა ამ საშვილიშვილო საქმეს. ვფიქრობ, იგი ღირსია, რომ მისი სახელის უკვდავსაყოფად ბაგრატის ტაძართან მდებარე ჩელიუსკინების ქუჩა ასლანიკაშვილის ქუჩად იწოდებოდეს.

**ლევან ჯიქია**
საკოორდინაციო საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელი

# შეიქმნა ახალი ორგანიზაცია

კიდევ ერთი ეროვნული საქველმოქმედო ორგანიზაცია შეემატა ჩვენს ეროვნულ მოძრაობას. შეიქმნა საქართველოდან გაწვეულ ჯარისკაცთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის რესპუბლიკური საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც მოწოდებულია ქართველი ჯარისკაცების სასიცოცხლო ინტერესები დაიცვას საბჭოთა არმიაში. აგრეთვე, იბრძოლოს ქართული ჯარის შექმნისათვის.

4 აპრილს ყოფილ კომკავშირის ცეკას დარბაზში, გაიმართა საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია. დამტკიცდა პროგრამა და წესდება, არჩეული იქნა პრეზიდიუმი.

სიტყვით გამოვიდნენ სხვადასხვა საზოგადოებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები: გურამ ფანჯიკიძე, მარიკა ბარათაშვილი, ნუკრი ცისკაძე, სოსო ქარქაშიძე, დავით ხომასურიძე, ზაზა სიხარულიძე, ზაურ გოგრიჭიანი — ჯარისკაცთა მშობლები, ქართველი სამხედრო ოფიცრები და სხვანი.

საზოგადოების პრეზიდენტად აირჩიეს მალხაზ ბაძაღუა, საპატიო პრეზიდენტად არჩეულია პროფესორი ალექსანდრე ბერიძე, ვიცე-პრეზიდენტებად: გია კერვალიშვილი და მამუკა ნიშნიანიძე.

**საზოგადოების პრესცენტრი**

# გთხოვთ დაგვეხმაროთ

ვცხოვრობთ მცხეთის რ-ნის ს. მუხრანში, რა თქმა უნდა, გამოწერილი გვაქვს რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთები, მათ შორის „ლიტერატურული საქართველოც".

სამწუხაროდ, ბოლო ხანს სისტემატურად გვაკლებენ გაზეთს, ფოსტის ხელმძღვანელობა თავს იმით იმართლებს, რომ არც ჩვენ ვიღებთ საკმარისი რაოდენობითო. არ ვიცით როგორ მოვიქცეთ.

მარტო მე როდი ვარ ამ დღეში.

გთხოვთ დაგვეხმაროთ.

პატივისცემით
**ვალერიან ცქიმანაური**

**რედაქციისაგან:** მსგავსი ხასიათის წერილების ნაკადი არა და არ წყდება. ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა დაადგეს საშველი ჩვენი საფოსტო სამსახურის გაუმჯობესებას?

# სულის განსაცდელი

თამაზ ვასაძე

დიდი დაგვიანებით ეცნობა ქართველი მკითხველი გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულს“, მაგრამ მისი პრობლემატიკა თანხვდება ჩვენი საზოგადოების შემეცნებით ინტერესებს. საბჭოეთის ფანტასტიკური რეალიზმი, ბოლშევიკური რეჟიმის ბუნება და ქართული სულის ბედი ამ რეჟიმის პირობებში, გადატანილი უბედურების სათავეები და მიზეზები, სტალინის პიროვნება — ამ ფენომენების მხატვრულ-ანალიტური განჭვრეტის ცდაა გრიგოლ რობაქიძის რომანი, რომლის ალექსანდრე კარტოზიას მიერ მწერლის სტილის და აზროვნების ფაქიზი გაგებით, ნიჭიერად შესრულებული თარგმანი შარშან გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“.

„ჩაკლული სულის“ მხატვრული სიმართლე უპირველესად ის არის, რომ მასში მოხელთებულია, შემოქმედებითად ფორმირებული და განფენილია ეპოქის სულიერი ატმოსფერო — შემაშფოთებელი, სახიფათო, შიშისმომგვრელი. იგი ყველაფერში ატანს, მის გამომფიტავ ზეგავლენას ვერავინ უსხლტება. ვერ უსხლტება მას ვერც რომანის მთავარი გმირი. მის სახეში თითქოს ქართველის იდეალური ხატი გამოსჭვივის — ის რაინდულად ვაჟკაცურია, სიცოცხლის შეკავებული ხალისით სავსე, ამაყი და შემართული, ამასთანავე, შინაგან სილბოსაც არ არის მოკლებული... მაგრამ ეს ხატი შიგნიდან ირღვევა, მასზე დამშლელად მოქმედებს შიში, რომელიც ამ ძლიერი კაცის სულში შეპარულა და გამჯდარა.

მტკივნეულად აკვირდება თამაზი საბჭოთა კავშირში ღმერთის წინააღმდეგ წამოწყებულ ლაშქრობას, ავადმყოფურ მოვლენას, რომელშიც საბჭოურობის არსს ხედავს. მაგრამ, მისი აზრით, ის, რაც ხდება, აუცილებელია, რადგან ულმერთო კულტურამ რევოლუციის ჯოჯოხეთი უნდა გაიაროს, კრიზისი ბოლომდე უნდა გამწვავდეს, რათა მას რწმენის აღორძინება მოყვეს. ეს კრიზისი თვითონ თამაზშიც მიმდინარეობს, ღმერთი არსებითად მასაც დაკარგული ჰყავს. თუმცა, ათეიზმის და რაციონალიზმის მიმართ, ძალიან კრიტიკულად და ანტიპათიურად არის განწყობილი და სამყაროს აღიქვამს, როგორც საიდუმლოს, პიროვნული აბსოლუტისგან მოწყვეტილია. სამყაროდან ღმერთის, მაღალი სულიერების, მოწიწების აღმძვრელი ფასეულობების გაძევებას, „ჯადოს ახსნას“, რაც დასავლურ ცივილიზაციაში სპონტანურია, ხოლო საბჭოთა სინამდვილეში გეგმაზომიერად და ამავე დროს უგონო ენთუზიაზმით ხორციელდება, იგი შინაგანად მკვეთრად ემიჯნება და უძალიანდება. მაგრამ მას არა აქვს ღმერთის და სულის უკვდავების ცოცხალი რწმენის ფარი, რაც სასტიკი რეჟიმის მასირებული შემოტევისგან დაიცავდა და გრიგოლ რობაქიძის გმირი იწამლება შიშით, რომლისაც რცხვენია და რომელიც ტანჯავს, ხოლო საკუთარი ბუნებრივი სითამამე, დროდადრო რომ ვერ იოკებს, კიდევ უფრო აშფოთებს. მისი სული თავიდანვე იარაღაყრილია ადამიანის დასათრგუნად კონსტრუირებული სისტემის წინაშე, რისი მთავარი სამიზნე სწორედ თავისუფალი სულია. ის იძულებულია დაექვემდებაროს სისტემის მუდმივ და უფხიზლეს კონტროლს. ეს კონტროლი „ახალი ღმერთის“ — პარტიული სახელმწიფოს, გპუ-ს — თვალია. „სოციალისტური კოლექტივი საჭიროს ხდის ასეთ იდუმალ თვალს. ღმერთი კვდება — მის ადგილს ეს თვალი იკავებს“. ღრმა დაკვირვებაა — რელიგიურ საზოგადოებაში ადამიანები ღმერთის მზერას გრძნობენ, ეს მზერაა მათი ცხოვრების უნივერსალური შემმოწმებელი, ტოტალიტარული სახელმწიფო ღმერთს ენაცვლება, მის პრეროგატივებს ითვისებს და კისრულობს.

ეს შენაცვლება იწვევს იმას, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო დაიხშობა, ყრუდ ჩაირაზება. მას აღარ შეუძლია სხვა ადამიანის გულის შესაგებებლად თავისუფლად გაიღოს, მას ნდობით შეეხოს, შეერწყას — „გული მისცეს გულისათვის“. რომანის გმირი, ბუნებით გულღია ადამიანი, მოწყურებულია ასეთ ურთიერთობას, რაც მისთვის ღვთაებრივი, საკრალური აქტია, მაგრამ ბოჭავს შიში, „უმთავრესი სენი სიცოცხლის“ და ვერ ახერხებს ხორცი შეასხას ამ ძლიერ მოთხოვნილებას. ყველაზე მეტად თამაზს ეს აწვალებს, ეს აგრძნობინებს ღვთისაგან მიტოვებულობას. მაგრამ ადამიანზეც ხომ არის დამოკიდებული, იქნება თუ არა ღმერთი სამყაროში: „ღმერთი ყველგანაა, სადაც გული ღიაა, სამსხვერპლო ცხოველის დარად მზად არის თავის შესათავაზებლად“. მსხვერპლგაღების უნარი, თავისშეწირვისათვის მზადყოფნა, ტანჯვა-წამების მიღების ძალა აკლია თამაზს, ვინაიდან აკლია ამ თვისების უზენაესი სათნოების ხარისხში ამზიდველ ქრისტიანულ ღმერთთან შინაგანი სიახლოვე. თავისი მსოფლაღქმით იგი წარმართი უფრო, მიწიერი, ხორციელი ყოფიერება, სიცოცხლე მისთვის მეტად ძვირფასი და ტკბილია, ღვთაებრივი და კურთხეულია. თავის მოდგმასთან, ბუნების და სამყაროს ცხოველმყოფელ ძალებთან, მზესთან მას ორგანული კავშირი აქვს, რაც მის ლექსებშიც ჩანს. ეს რომანის გმირს თითქოს ზოგიერთ ცისფერყანწელ პოეტს ამსგავსებს. წარმართული ჰედონიზმი არამარტო მშობლიური სტიქიაა მისი, არამედ სულისმოსათქმელიც შიშისმომგვრელ საბჭოთა ყოფაში. სამყაროსთან და სიცოცხლესთან ჰარმონიულ თანხმობას ანიჭებს და ბუნების პირველსაწყისებში განაზავებს მას ნატას სიყვარული. და თუმცა, ამ სიყვარულშიც დალანდავს სამყაროში დატანებულ ბნელ, ბოროტ, სიკვდილისმიერ ელემენტს, მაინც ავისმაუწყებელ მიხვედრებს ძლევს სიცოცხლის, როგორც ღვთისგან დალოცვილი ფენომენის გრძნობა. თამაზი ამართლებს თვით ადამიანის პირველცოდვას, რადგან ამით სიცოცხლის გამრავლებას, მიწიერ ქმნადობას მიეცა დასაბამი.

სიცოცხლის თაყვანისცემა, სიცოცხლის ღვთიური მადლის განცდა, სამყაროსთვის და ადამიანებისთვის გულგახსნილი წადილი არამარტო რომანის მთავარი გმირის სულიერების, არამედ ეროვნული მსოფლშეგრძნების ძირეული ტენდენციაც არის, თუკი ეს მსოფლშეგრძნება შეურყვნელი და აუმღვრეველია. „ქართველები სუფრას უსხედან. თვალი რომ ქვეყანას, მზეს, მთებს, ხეებს, ცხოველებს, ადამიანებს უცქერს, გულს სიხარული ეფინება და სურს შემოქმედს ქება-დიდება შეასხას. დალოცვილია წამი, როცა ლხენით სავსე გული მეორისათვის იხსნება, გულის თრობაა, რასაც ქართველი ლხინში განიცდის (...) აქ ერთმანეთის გახარებაა მხოლოდ მთავარი — „განა ბედნიერება არ არის, რომ გხედავ? რომ ვცოცხლობ? რომ გხვდები და მხვდები?“ ამგვარ ეროვნულ მსოფლგანცდასთან შეურიგებელ წინააღმდეგობაშია და მას ფესვებს უღრღნის საბჭოთა რეჟიმი, რომელიც ერთმანეთისადმი შიშით, ეჭვით, უნდობლობით აავადებს ადამიანებს, აიძულებს თავისთავში გამოემწყვდნენ, სულები დაიმუნჯონ და უხშობს ერთმანეთთან შინაგან შეხმიანების, გამთლიანების სწრაფვას.

ხოლო იმ კაცის მთავარი თვისება, ვინც ეს რეჟიმი მისი ბუნების შესაბამისად „სრულყო“, სწორედ სიცოცხლის მადლთან თანაზიარობის უუნარობაა. სტალინისთვის, თავისი სასტიკი მამისადმი სიძულვილის გამო, სიცოცხლე თავიდანვე დაწყევლილია და ბოროტებაა. იგი გათიშულია სამყაროს მთლიანობისგან და თავისთავშია ჩაკეტილი. „მას არაფერი ახარებს. მის გულს არ ძალუძს კოსმიურად ძირისძირამდე გაიხსნას. ის არ არის აალებული, ხორცშესხმული ნაწილი მისტიურად დაგლეჯილი ღმერთისა: ის ცივია, მტკიცე და პირქუში. ასეთი ადამიანისათვის არ არსებობს ექსტაზი. ასეთ უმამოს რომ ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია მოესმინა — განსაკუთრებით დასასრული, სადაც მღელვარე ორკესტრში ადამიანთა ხმები იჭრებიან, ხმები დიონისოს მიერ დაგლეჯილ არსებათა, რომლებიც სხვა სიცოცხლეს, ახალს, ადამიანურს თუ ზეადამიანურს აცხადებენ — ის მაინც ვერ გახლეჩდა თავის ვიწრო ნაჭუჭს, რათა უნაპირო სინამდვილეს შეერთებოდა. ის ცივი, მტკიცე და პირქუში დარჩებოდა“. სტალინი მალე აგნებს მისთვის საჭირო და შესაფერის მსოფლგაგებას. ნიჰილიზმის დახმარებით ის „თავისუფლდება“ ღმერთის, ზნეობის და ყოველგვარი ღირებულებებისგან და სიცოცხლისადმი მტრობის იდეურ სანქციას იღებს. ნიჰილისტური შეხედულებით ხომ სამყარო და ადამიანი ულმერთო, შემთხვევითი და მდაბალია და, ამდენად, მათ მიმართ მოურიდებელი, აგრესიული დამოკიდებულება ფუძნდება. „განთავისუფლებულის“ დესტრუქციულ თვითნებობას წინ აღარაფერი ეღობება, მის უსაზღვრო ეგოცენტრიზმს არაფერი ბორკავს. საბოლოოდ პოულობს სტალინი თავისთავს მარქსიზმის ბოლშევიკურ ნაირსახეობაში, რომელიც შენიღბული და ძალაუფლების მოსაპოვებლად მობილიზებული ნიჰილიზმია. სტალინის ფენომენის ახსნისას გრიგოლ რობაქიძე დოსტოევსკის შემოქმედებას იშველიებს, კერძოდ, რომანს „ეშმაკნი“. ამ რომანის პერსონაჟი ვერხოვენსკი სტალინის ნამდვილი (თუმცა, მასთან შედარებით უფერული) არქეტიპია, პირველ რიგში იმით, რომ სიცოცხლე მისთვისაც სიბილწეა, არაფერი არ აღუძრავს რიდს და მოწიწებას, ამიტომ, ნებისმიერ საშინელებას ჩაიფიქრებს და ჩაიდენს. შეიძლება გავიხსენოთ დოსტოევსკის „ეშმაკთა“ ნაშიერი სოლოგუბის ანტიგმირიც რომანიდან „პატარა ეშმაკი“. თავის პერსონაჟს, რომელიც სამყაროსადმი მტრულადაა დაპირისპირებული და სამყაროსგანაც მუდამ მტრობას მოელის, ავტორი ასე ახასიათებს: „პიროვნული და განცალკევებული ყოფიერების ცდუნებებით დაბრმავებულს არ ესმოდა დიონისური, სტიქიური აღფრთოვანება, ბუნებაში რომ ზეიმობდა და ხმიანობდა“. გრიგოლ რობაქიძის მიერ წარმოსახული სტალინიც ანტიდიონისური ადამიანია, იმ აზრით, რომ იგი მოკლებულია თავდავიწყების, თრობის, აღფრთოვანების და სამყაროსთან ექსტაზურად გამთლიანების უნარს. როგორც ჩანს, აქ ამოსავალია დიონისურის ნიცშესეული გაგება.

„ჩაკლულ სულში“ არის პერსონაჟი, რომელიც ცდილობს სტალინის ძლიერების საიდუმლოს დაეუფლოს და ძლიოს მას. ბერზინი, იქნებ, ბოლშევიკის ერთ-ერთი საუკეთესო ლიტერატურული სახეც იყოს.

სტალინის უპირატესობა მეტოქეებთან შედარებით სწორედ მისი უცეცხლობა, ექსტაზის განცდის უუნარობა, ცივსისხლიანობაა და ბერზინიც ესწრაფვის თავისთავში ცეცხლი და ექსტაზი მოათვინიეროს, რათა თავისი მამოძრავებელი ლტოლვა — ძალაუფლების, სხვათა დამარცხების და დათრგუნვის ნება ისე გამოიწრთოს და შეუხრელად მიზანმიმართული გახადოს, რომ სტალინზე გაიმარჯვოს. ამისთვის სჭირდება მას ნატასთან არანორმალური ურთიერთობა. ეს ურთიერთობა სამყაროსთან და ადამიანთან დამოკიდებულების ბოლშევიკური წესის სიმბოლოსებურად შემჭიდროებულ და განზოგადებულ გამოხატულებად გვევლინება — სამყაროს, ადამიანს პატივი აეყრებათ, ამორალურად გამოიყენებიან რაღაც მიზნის მისაღწევად მოსახმარ, თავისთავადი ღირებულების არმქონე ინსტრუმენტად... ბერზინის სურვილია არა სამყაროსთან ჰარმონიული შერწყმა და შეზავება, არამედ საკუთარი ეგოს განმტკიცება, გაზრდა. მისი მოთხოვნილებაა არა თავისი არსების გახსნა, გალება, არამედ მიღება, მითვისება, შთანთქმა.

ბერზინის სიზმარი, რომელიც გამორჩეულად შთამბეჭდავია ბნელი სულების გამშუქებელი მხატვრული ხილვით, ცხადყოფს, რომ ბერზინისნაირი ჭეშმარიტი ბოლშევიკიც კი სტალინთან, კიდევ უფრო ჭეშმარიტ ბოლშევიკთან ბრძოლაში უღონოა. ასე იმის გამოც არის, რომ სტალინი გაფაციცებული ინსტინქტით განსაკუთრებულად შეიგრძნობს მასის შინაგან იმპულსებს და მართავს მათ. სტალინი დაუმარცხებელი იმითაცაა, რომ შეუძლია მასის ძალით აღივსოს, ამ ძალის გამტარი იყოს. საბჭოთა მასის დამანგრეველი ზემოქმედება პიროვნებაზე ზუსტად არის ნაგრძნობი და ნაჩვენები ეპიზოდში, სადაც თამაზი საქართველოს გასაბჭოებისადმი მიძღვნილ „საზეიმო“ სხდომას სიტყვით მიმართავს. პიროვნების „საზღვრები წაიშლება“, მისი ნამდვილი „მე“ წარიხოცება და ის ამბობს იმას, რაც არ სწამს, ამართლებს ძალადობას, „სისხლის გამოშვებას“. რომანის მთავარი გმირი მთლიანობაში ითქვიფება, მაგრამ ეს, ცხადია, არის არა ის თავისუფალი და ბუნებრივი თანაზიარობა სამყაროსთან და ადამიანებთან, რომელსაც იგი ნატრობს, არამედ პიროვნების სულიერი თვითმყოფობის გაქრობა და არარაობად ქცევა. ცრუ იდეის საფუძველზე ადამიანების ასეთი არანამდვილი, არათავისუფალი გამთლიანება მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში და ეს პროცესი გრიგოლ რობაქიძეს სინამდვილის ფანტასტიკური აბსურდით შენაცვლებად წარმოუდგება („აკაშას ქრონიკა“). ქიმერული დოგმა, როგორც არასდროს მსოფლიო ისტორიაში, ბატონდება ძალმომრეობის რეალობაზე და ცხოვრებას შემაშფოთებლად უცხო იერი ედება. არეული ფანტაზიის გამონაგონს ემსგავსება. თავისთავისგან უცხოვდება, უცნაურად გარდაიქმნება რომანის გმირიც, როცა საქართველოს ოკუპაციის წლისთავზე აღტკინებულ სიტყვას წარმოთქვამს.

მაინც ვერც ეს გამოსვლა, ვერც ადრინდელი უფრო მცირე დათმობები მას ვერ შველის და საკუთარი თავისადმი ამ ღალატის საზღაურად მიიჩნევს იგი დაპატიმრებას. მაგრამ მორალური საზღაურის გადახდა ამ შემთხვევაში ნიშნავს სიკვდილის შიშის მორევას, სიკვდილი კი ძალიან ახლოდან იმუქრება. „დღისით აქ (გპუ-ში) სამარისებური სიმშვიდე სუფევდა, ღამით კი — ასე სამსა და ოთხ საათს შორის — შიშისმომგვრელი ხმები გაისმოდა: თითქოს ჩიტის გალიაში შემძვრალი გველი ხოხვით მიიკვლევდა გზას, ენას ასისინებდა, ნელ-ნელა აქანებდა თავს. ტუსაღები დამუნჯებულნი უგდებდნენ ყურს ამ ჩქამს (...) გარეთ საბარგო მანქანა ღმუოდა. ვირთხები ცოცხლდებოდნენ. თითქოს მოახლოებული ლეშის სუნი წინასწარ იკრეს. ყველა იდუმალად გრძნობდა მოსახდენს. თვით ძილსაც კი ელვისებურად ხვრეტდა ინტუიცია, რომელიც ერთბაშად ანათებდა ყველაფერს. ტანი ს[illegible] ოვეს გრძნობა[illegible] დალებული [illegible] ომელი. კიდევ [illegible] და დიონისე. ნაბიჯები დერეფანში ყრუ შიკრიკები იყვნენ სიკვდილის...“ თამაზმა გონებით იცის, რომ „როცა ღმერთით ცხოვრობ, ვერავინ წაგართმევს სიცოცხლეს“, მაგრამ ამის ცოდნა არ კმარა სიკვდილის შიშის მოსაგერიებლად, საჭიროა ადამიანი ღმერთს შინაგანად, სულით გრძნობდეს, ეხებოდეს. რომანის გმირს კი პატიმრობაში უმძაფრდება ღვთისგან მიტოვებულობის გრძნობა. ის ვერ იცნობიერებს და ისისხლხორცებს იმას, რისი წვდომისგან თითქოს შორს არ არის — ქრისტიანული ღმერთი სწორედ ტანჯული, წამებული ღმერთია და ადამიანი ყველაზე მეტად მაშინ უახლოვდება ქრისტეს, როცა ცოდვათა გამოსასყიდად ტანჯვას ტვირთულობს და ჭეშმარიტებისთვის ეწამება. თამაზს, მიწიერი სიცოცხლის გამაღმერთებელს, ეს უნარი არ აღმოაჩნდება.

მაგრამ დაცემის შემდეგ ის, სიკვდილს გადარჩენილი ბერზინის ან გივის, მისი საკნის ბინადრისგან განსხვავებით, მდაბალი, მონური გრძნობით არ ჩაებღაუჭება სიცოცხლეს. წარმართი კვდება მასში. იგი თვალს უსწორებს თავისი სისუსტის მიზეზს, თავისთავზე იღებს დაცემით გამოწვეული სულიერი ტანჯვის სიმძიმეს, როგორც დამსახურებულ სასჯელს და ახლა ასრულებს, რაც მანამდე ვერ შეძლო. მხოლოდ ამ ტანჯვის მიღებით აღმოაჩენს და ეზიარება ქრისტეს, როგორც ცოცხალ ჭეშმარიტებას და რეალობას, იმასაც შეიგნებს, რომ ქრისტეს გარეშე მისი სათაყვანებელი ამქვეყნიური მშვენიერებაც სიკვდილის, არარას კუთვნილებაა. გრიგოლ რობაქიძის გმირი თვითონ გამოცდის საკუთარი თეორიული თვალსაზრისის სიმართლეს: „რევოლუცია არნახულად წააქეზებს ულმერთობას, ხოლო შიშველი, ულმერთო ადამიანი ერთბაშად იგრძნობს სიცარიელეს და ალმაფრენით მოინატრებს დაკარგულს“.

რომანის ფინალს კვალს აჩნევს ერთი გარემოება: გრიგოლ რობაქიძის მეთოდში და სტილში არის სიმბოლიზმთან დაკავშირებული ფენა, სახელდობრ, სიმბოლიზმის დანაშრევი უნდა იყოს რეალობის გაიდუმალება, მისტიფიცირება, დემონიზმი, მოვლენების ფარული კავშირების ხაზგასმა, ცალკეული მომენტების საგანგებო ზეაწევა, პათეტიზაცია... რომანში ეს საკმაოდ ზომიერად და შეკავებულად ვლინდება, მეტწილად ცხოვრებისეულ მასალას, თითქოსდა ირეალურ საბჭოთა სინამდვილეს შეეზრდება. რეალისტი თვალყურს ადევნებს და აწონასწორებს „სიმბოლისტს“. ფინალში კი მისტიური უცებ გაუშუალებლად იჭრება, დამაჯერებელი ესთეტიკური სამყაროს წარმომშობი შემოქმედებითი ძალა რამდენადმე კლებულობს.

„ჩაკლული სული“ ინტელექტუალიზმის პრიმატით ნიშანდებული ნაწარმოებია, რაც იშვიათობას არ წარმოადგენს ჩვენი საუკუნის ლიტერატურაში. ოღონდ იქაც, სადაც ინტელექტუალური, ესეისტური საწყისი განსაკუთრებით მომეტებულია, შენარჩუნებულია მხატვრულ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს მთლიანობა. რომანში ემპირიული გარემოს და ხასიათების დეტალიზებული წარმოდგენა ჩანაცვლებულია პერსონაჟების სულიერი იერის და აზრთაწყობის გამოსახვით, ზოგჯერ მეტისმეტადაც. შესრულების მანერა შეკუმშული და განტვირთულია, ავტორი ეფექტურად, დამაჯერებლად, არტისტული მოხდენილობით ავლენს და განალაგებს მოკვეთილ შტრიხებს. მწერლის დაძაბული გონება, ინტუიცია და ფანტაზია დაგვანახებენ ეროვნული სულის ტრაგიკული განსაცდელის მართალ, სარწმუნო ხატს.

# არჩილ სულაკაური

## სიბნელის მიღმა

შენ ან მოიცდი ან არ მოიცდი,
ახლა სხვა დროა,
აქ სხვა ჩიხია...
უნდა მოვხვეტო,
მე ამ დროისთვის
გულის ნაწური რაც დამილვრია.

არ არის გზა და არ არის ხვრელი,
არის სიბნელე სიბნელის მიღმაც,
და მსახვრალს დამბლადაცემულ ხელით
მორჩილი ბრმები ხრამისკენ მიჰყავს.

გათიშულია საქმე და სიტყვა —
ბაბილონიდან მოსული დღემდე.
ქუჩაში გარბის შეშლილი ვილაც,
რომ შეელეწოს ღამეულ კედელს...

ახლა სხვა დროა,
აქ სხვა ჩიხია,
სად გავეტიო,
სად გავიარო?
ყრმობისთვის ხელი არ შემიხია,
ისე დავბერდი,
ადამიანო!

## პირისპირ

გამოფენილებს ქუჩების ქარში
აბრუებს მარტის სუნთქვა მზაკვრული.
აქ ტანჯულივით ვინც ხელებს გაშლის,
ყველა ჰგონიათ ჯვარზე გაკრული.

ო, ეს ქარები —
ყორნის ჩხავილი —
მომახლის სიტყვებს კრულვით და
წყევლით.

სიტყვა ყოველ წამს
მწამლავს შხამივით
და აღარ მავსებს ნდობით და
რწმენით.

რამდენი გზაა ასე გავლილი,
მიდიხარ...
არა,
მხოლოდ მოძრაობ,
ჩიხში შიშვლდება ღამე ქალივით,
ბნელი ზრახვები რომ გამომძალოს.

დროა,
დავუშვა სცენაზე ფარდა,
იქ მიმალული ძველი წყლული მაქვს.
ნუ მომაჩეჩებ წაგებულ კარტებს,
ცხოვრება ისეც წაგებულია!

## დღე და მოსწრება

ვიცი,
ამ სიტყვის ფესვი მწარეა,
ნათქვამის,
ანთუ გინდა ნაწერის.
ბოლო დროს ცისთვის აღარ მცალია,
ბოლო დროს უფრო მიწას ჩავცქერი.

ეს იდუმალი ხმები მიზიდავს,
ეს მიწისქვეშა წყალთა დინება.
მოჩვენებითი სიმაისიდან
გავალ და თოვლში დამეძინება.

მაგრამ ჯერ ვიტყვი,
როგორ მივედი
უდროობიდან უდროობამდე,
როგორ მიმქონდა უხმოდ იმედი,
ასევე უხმოდ შენ რომ მომანდე.

როგორ მიკვლევდა
დღე და მოსწრება,
გზას ყრუთა სმენა,
ბრმათა ხელები,
როგორ მრჩებოდა უკან ოცნება —
ჩამოლეწილი ცისარტყელები.

ახლა ზეცისთვის აღარ მცალია,
ახლა მე უფრო მიწას ჩავცქერი.
სიტყვის დაჭერა მიჭირს ძალიან,
გაგლეჯილია ყველა ფაცერი.

## სატანის ღამე

მე დამესიზმრა ოცდაჩვიდმეტი,
სატანის ღამის ბნელი იგავი.
თითქოს გავრბოდი,
თითქოს მიჭერდი,
თანაც მე
თითქოს მე არ ვიყავი.

მეტმასნებოდა დაშვებულს დაღმა,
დროშები,
როგორც გიჟის ხალათი.
თან მიმყვებოდა ბეჭედზე დამღა,
ფლიდის,
გარეწრის
და მოღალატის.

ყველგან ისმოდა დროშის შრიალი —
ჯოჯოხეთიდან ასული ცამდე
და მოედნებზე ხელდროშიანნი
ველურის ვნებით წიგნებსა წვავდნენ.

ქუჩებში ხალხის ტევა არ იყო,
ბრბო ზეიმობდა ბედისწერამდი...
— დროო უსახო და უთარიღო,
მე უკვე მეცვა გიჟის პერანგი.

და დაცემამდე მაინც გითხარი,
ეს დევნა-მეთქი ტანჯვად მეყოფა.
შენ კი მოხვედი და გამითხარე,
სამარე
ცოცხალ ძმას და მეგობარს.

მე დამესიზმრა ოცდაჩვიდმეტი,
სატანის ღამის ბნელი იგავი...
გარბოდა ვიღაც სხვა და იჭერდი,
ვისაც იჭერდი,
ის მე ვიყავი.

ღმერთო,
იხსენი ჩვენი სულები,
მოგვეცი ნდობის,
შენდობის ნიჭი!
გზა გავლილი და გზა გაუვლელი
აღბეჭდილია ცოდვილის ნიშნით.

## ქუჩების ქარში

გაფერმკრთალდება ძველი ხილვები,
დაიშრიტება სულის სათავე.
დაკოჭლებული ქარტეხილები
სასაფლაოზე ლხინს გამართავენ.

ისევ ვცდი,
ისევ ჩემი გზით წავალ,
და აღვირახსნილ ქუჩების ქარში
უდროობისას ვერ ვპოვებ წამალს
გაოგნებული ცხოვრების ფარსით.

სმენადახშულთა შეშლილი ქორო
ცეცხლმოკიდებულ ფიალებს დაცლის.
თუ ვინმე იტყვის,
შენ იტყვი მხოლოდ,
სხვის ნათქვამს უკვე არა აქვს აზრი.



# ხუტა ბაბუა

## მეცამეტე ზამთარი

I.

კაცია — არ ჰგავს აფთარს,
აცვია პალტო დრაპის.
მანქანა ხვდება ტრაპთან,
ურცხვად ჭრიალებს ტრაპი —

მგზავრი ეშვება ბარგით,
ვეება უჩანს კუდი:
ჩანთა-ჩემოდან-პარკი,
ხუთი მუყაოს ყუთი.

უჰ, როგორ ცივა — აფჩი! —
და, დიპლომატით ხელში,
ჯდება ჩაზნექილ „რაფში“,
ვით ზამბიელი ელჩი.

სანამ მანქანა მიჰქრის,
გზადაგზა, მეფის წილი,
მგზავრს ეძალება ფიქრი,
ნეტარი, როგორც ძილი:

„— უმრი, გეორგი, უმრი!“ *
ოღონდ გახსოვდეს: ქართველს
პატივისცემა სტუმრის
ფანტასტიური გმართებს.

ციცქნა ნაჭერი ორი,
რაა ლანგეტი — ცურცლი.
სხვაა რაჭული ლორი,
მაამებელი მუცლის.

ან ვისკი რაა — ნეხვი.
სხვაა არაყი თუთის,
მით უკეთესი — ლეღვის,
ჩამოტანილი „ტუ“-თი.

სინდის-ნამუსზე ტიტინს,
ყურს ნუ ათხოვებ, დაგმე.
მნიშვნელოვანი, დიდი
ასე კეთდება საქმე.

ეტყობა, ყველა კასტის
ანიც ესმის და ჰაეც...
...„რაფს“ უკანალით გასდის
ბოლი და წამლავს ჰაერს.

II.

ყოვლისმხილველო, იცი,
მამულო, „მანი-მანით“
სად ერთობიან კიწი-
შვილი და მისი ძმანი.

ძმანი, თავის მხრივ, დანით,
მზისებრი, მთვარისებრი,
სატიციანო ტანის
კლარებით, ლარისებით.

უცნაურია, როგორც
ქრისტე — მაჰმადის ჩალმით, —
კალთამს უქებენ გოგოლს,
მსახურნი შამფურ-კალმის.

რა ხარ, ქართული მარკის
არაყო! უკვირს ჩია
გიორგის: კოცნის მარკიჩს,
მარკიჩი ლუკიჩია!

— ენამც გამიხმეს, ვახმე!
ლუკიჩ, ნუ მიწყენ... — არ მწყინს,
ვის არ მოსვლია, აზმედ,
მსგავსი შეცდომა-მარცხი...

— ლილე! — ყანწები ჯიხვის! —
რა სჯობს სიმღერას სვანურს!
და ცვლის კარკაცი ჰიხვინს,
ანუ — პირიქით, ანუ —

ევა-ლარისა ადამ-
პანტელეიმონ-სიმონს
სთავაზობს გორულ ატამ-
ვაშლს, ესე იგი, ლიმონს...

ზოგს ენაღვლება რაში —
მტკვარში აურევს არაქსს,
შოთად მონათლავს რაშიდს —
წვეთს არ დაიკლებს არაყს.

...ამათ მაგიერ ზოგჯერ
მე მეტირება — თითქოს,
მამულო, თავი მოგჭრა —
და პატიებას ვითხოვ.

III.

ცივი შრიალი თოვლის
ტანში უეცრად გამცრის —
ხელ-ფეხშემკრავი ყოვლის
დგება „ზამთარი მკაცრი.

მტრულად მზირალი დარშიც,
ჯოჯოხეთურად გრძელი,
მეცამეტეა — თარსი! —
ჩემი აქ ყოფნის წელი.

ვერ შევეგუე. ვისაც
ეადვილება, სცადოს.
გულს ძნელად აგნებს სხვისას
ქართული სიტყვის ჯადო.

გინდა, დღისით და ღამით,
კრუხად დაადექ თავზე,
ახშობს უქმური ჟამი,
თამამი ნიჭის ნამზევს.

ეს დღეც ფარდია ნულის
და— რა ვიღონო — გათოვს,
იბერიული სულის
უბერებელო ხატო.

ცოდვები „ხალხთა მამის“,
იგივ მერხეულ-გორის,
აფსუს, დაგვბრალდეს ლამის,
ვინცა ვართ შენი გორის.

მადლია, ხელის მოსმით,
მოიკვეთავდე ულირსს,
ვისაც დამცრობა მოძმის
დღემდე არაფრად ულირს.

სხვა, რასაც უდის სუნი
სამჯერ გამოხდილ არყის,
ნიჭს მოკლებული — წუნი
საქმეა, ჯავრად არ ღირს...

ჩემო ტკბილ-მწარე სევდავ,
დივლი-დალალე-დივლი,
საყელოს ავიწევ და
მცხეთამდე ფეხით ვივლი.

## გზა

იმ გზით რომ მევლო, ამ გზით კი არა,
მე ავიცდენდი — ზოგჯერ მგონია —
ამდენ ჭრილობას, ამდენ იარას,
უგონო ღამეს და აგონიას,

დავიმოკლებდი მიზნამდე მანძილს
გლეხიკაცივით გამრჯე და გამძლე,
და უშურველი მოყვრების თვალწინ
მეტს მოვიმკიდი სიკეთის მარცვლებს.

მეც პატიოსან ლუკმას ვარჩევდი
ქეიფ-გართობას სუფრის ბიძებთან,
და შიში, შიში მარტოდ დარჩენის
ლოგინში ავხორცს არ მომიწვენდა.

არ ამიბნევდა გზა-კვალს ნაღველი —
გაუხარელი ცხოვრების შხამი,
დაგუბებული ყოვლის მნახველი,
მოძმის თვალებში უძილო ღამით.

იმ გზით რომ მევლო ჯალაბ-ამალით,
გულს არ დავწყვეტდი ამ ხნის
მარჩიელს, —
არ დამგესლავდა ქვეწარმავალი,
მაგრამ მე იმ გზას ეს გზა ვარჩიე.

იქნება ვცდები და მეჩვენება,
რომ მე ვარჩიე, მავალმა ცალად,
სინამდვილეში, როგორც ენება,
ისე მატარა განგების ძალამ.

არა, უფალო, ბედს არ ვუჩივი.
მე ხომ ვიცოდი, ბოლო ფინიში
აქ მომიყვანდა ეთიმ გურჯივით,
ჩემი სამშობლოს გულში — თბილისში.

ამ გზაზე ცოტა მერგო ალერსი,
ვიღაცას მაინც ემახსოვრება:
არც უკეთესი, არც უარესი, —
ჩვეულებრივი, როგორც ცხოვრება.

* — მოკვდი, გიორგი, მოკვდი!

# „მატარებელს ჩამორჩენილი კაცის" ფიქრები

## ვახტანგ ხარჩილავა

იმ წერილებთან შედარებით, ახე უხვად რომ იბეჭდება დღეს და რომლებშიც ამდენი ლანძღვა-გინება, ქვების ზუზუნი და მუშტების ქნევაა, თემურ ფიფიას წერილი („მართლაც სად არის ქართული მწერლობა, ანუ ღია წერილი ვახტანგ ხარჩილავას", „საქართველო", 11.02.90) ნამდვილად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. თურმე, შეიძლება კაცს არ ეთანხმებოდე და ეს უთანხმოება ისე გამოხატო, რომ პიროვნება არ შეურაცხყო.

— თუმცა, თქვენი წერილი არც ისე უწყინარია, როგორც ეს თვალის ერთი შევლებით ჩანს. ზედაპირი კია მოკრიალებული, მაგრამ ცოტა ქვემოთ, საკმაოდ მღვრიეა და შიგ ბევრი მეჩეჩი და წყალქვეშა დინებაა, ალაგ-ალაგ ფაცერი და ბადეც ჩაგიდგამთ მოფარებულში.

ამ ხერხებით გამოუცდელ ღორჯო-ლიფსიტებს იჭერენ ხოლმე...

თქვენს წერილზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ შავ-თეთრია — დახედავ, თეთრია, გადააბრუნებ — შავი!

ბატონო თემურ! თქვენი წერილი ბოლომდე რომ ჩავიკითხე, უცნაური გრძნობა გამიჩნდა: ან ჩემი წერილი ძალიან ზერელედ გაქვთ წაკითხული, ისიც ალაგ-ალაგ, ან მას უბრალოდ, საბაბად იყენებთ, რომ თქვენი სათქმელის თქმის საშუალება მოგეცეთ.

ამიტომ თავს ნებას მივცემ, უმორჩილესად ვთხოვო მკითხველს, არ დაუჯეროს თქვენს წერილს და მასში გამოთქმულ შენიშვნებს, სანამ ჩემს წერილს არ წაიკითხავს („სად არის ქართული მწერლობა?!" „ლიტ. საქართველო", 15. XII. 1989 წ.).

...თქვენ საკმაოდ ვრცლად საუბრობთ ლიდერის როლზე, მის მნიშვნელობაზე ეროვნულ მოძრაობაში, ამ ეტაპზე გამოკვეთილი ლიდერის არსებობის აუცილებლობაზე. კეთილი და პატიოსანი, მეც გარკვეულწილად, ზოგიერთი შესწორებით ვიზიარებ თქვენს აზრს და გეთანხმებით, მაგრამ რატომ არის საუბარი ამის შესახებ ჩემდამი მოძღვნილ წერილში? მე ხომ ჩემს წერილში არსად არ მიმსჯელია ამ საკითხზე?

როგორ დავიჯერო, რომ თქვენ ამ თემაზე სიტყვის ჩამოგდება მხოლოდ იმისთვის დაგჭირდათ, რომ გეთქვათ: „უკანასკნელ პერიოდში ჩვენს პრესაში აშკარად გამოჟონა ბატონ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლამ" და შემდგომ ამისა, საშუალება მოგცემოდათ ბატონი ზვიადის ერთგულ დამცველად და მომხრედ მოგვევლინებოდით?

ეს ისე „მოხერხებულადაა" გაკეთებული, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს, შეიძლება მოეჩვენოს, რომ მე იმ წერილში რაღაც ისეთი მიწერია, რამაც თქვენი გულისწყრომა გამოიწვია და იძულებული გახადათ ხმალ-შუბი გეშიშვლათ. ახლა კი გავიხსენოთ, თუ რას ვამბობ იმ წერილში: „მე არ მესმის, საერთოდ რატომ უნდა დაისვას ეს კითხვა (სად არის ქართული მწერლობა? — ვ. ხ.) იქ, სადაც, მწერალი ზვიად გამსახურდია დგას? რატომ უნდა დაისვას ეს კითხვა იქ, სადაც მწერალი მერაბ კოსტავა იდგა?"

ესაა და ეს, სხვა არაფერი, არცერთი სიტყვა!

რა იყო, რა მოგეჩვენათ აქ ისეთი, რამაც თქვენი გრძელი ტირადები გამოიწვია?

მწერალია ზვიად გამსახურდია-მეთქი, ვამბობ, სხვას ხომ არაფერს? თქვენ რა, სიტყვა „მწერალი" სალანძღავი სიტყვა გგონიათ?

თქვენ აანალიზებთ ეროვნული მოძრაობის განვითარების ეტაპებს, ანუ, როგორც თქვენ ამბობთ, „ალმის გადაცემას ხელიდან ხელში". თურმე ადრე, დიდი ხნის განმავლობაში, მწერლობა ყოფილა ამ მოძრაობის მედროშე, მერე კინოსა და თეატრის მოღვაწეებს აუტაციათ ალამი და ა. შ.

ნუ გეწყინებათ და ეროვნულ მოძრაობაზე ისე მსჯელობთ, როგორც სპორტულ შეჯიბრებაზე. თქვენთვის მთავარია, ვის რა ადგილი ეჭირა ამა და ამ წელს (1975-85 წლებში თეატრისა და კინოს წარმომადგენლებს უმარჯვიათ). თქვენი შეცდომის სათავე ეროვნული მოძრაობის ამგვარი კლასიფიკაციის საფუძველში დევს. ამ შეცდომაზეა აგებული შემდგომ თქვენი წერილი, მაგრამ განა მარტო თქვენი წერილი? არ ვიცი, ჩვენი ქართული ხასიათის თუ სხვა რაღაცის გამო, ადვილი შესამჩნევია, რომ ლამის არის ეროვნული მოძრაობა პირველობისთვის ჭიდაობად ვაქციოთ. ამ შეჯიბრებაში არავინ იმარჯვებს, ეროვნული მოძრაობა კი ზარალდება. ეროვნული მოძრაობა საფეხბურთო ჩემპიონატი ხომ არ არის, რომ ერთმანეთს ქულები ვუთვალოთ? ის ერთიანი, მთლიანი მონოლითია, სადაც გენერალიც და რიგითი ჯარისკაციც თანაბრად იმსახურებენ პატივისცემას და სიყვარულს.

ჩვენი დღევანდელი გნიასი და ქოთქოთი იმ შვილების გნიასსა და ქოთქოთს მაგონებს, სნეული დედის სარეცელს რომ შემოხვევიან და ერთმანეთს გაცხარებით უმტკიცებენ: არა, მე უფრო მიყვარს დედა, არა მე უფრო...

დედა ყველას უნდა უყვარდეს, შეძლებისდაგვარად მას ყველა უნდა ემსახუროს და ამის გამო ჩინ-მედლები არ უნდა მოითხოვოს.

რაც შეეხება იმას, რომ ქართველმა ერმა ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა სამართლიანად აღიარა თავის უპირველეს წინამძღოლებად, ეს ნამდვილად ასეა, და ისინი ნამდვილად იმსახურებენ ამას. მით უმეტეს, გასაკვირია, როცა მავანი და მავანი ხმაჩახლეჩილი გაჰყვირის, სად არის ქართული მწერლობაო, რადგან ზვიად გამსახურდიაც და მერაბ კოსტავაც მწერლები არიან. (მალე გამოვა მერაბ კოსტავას ლექსების წიგნი, შედგენილი ზვიად გამსახურდიას მიერ და ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდებით, რომ საქართველოს არა მარტო პოლიტიკური მოღვაწე დააკლდა, არამედ მშვენიერი პოეტიც). ამიტომაც ვწერდი მე: „არ მესმის, საერთოდ რატომ უნდა დაისვას ეს კითხვა იქ, სადაც მწერალი ზვიად გამსახურდია დგას? რატომ უნდა დაისვას ეს კითხვა იქ, სადაც მწერალი მერაბ კოსტავა იდგა". ვერ გამიგია, თქვენ და თქვენს თანამოაზრეებს რა არ მოგწონთ ამ სიტყვებში...

მე დღესაც იმ აზრისა ვარ და ამ აზრს ვერავინ შემაცვლევინებს, რომ „ქართული ეროვნული მოძრაობა ქართული მწერლობიდან მოდის. ის ქართული მწერლობის მიერ მომზადებული მოძრაობაა, მის მიერ ნაკურთხი და დამოძღვრილი. ქართულმა მწერლობამ შეინახა და მოიტანა ის ცეცხლი, დღეს რომ ასე მძლავრად გუგუნებს ჩვენს ქუჩებსა და ჩვენს მოედნებზე, ჩვენს თვალებში და ჩვენს გულებში, ჩვენს სიტყვებში და ჩვენს სულში. ზოგიერთს არ ესმის, რომ ის სიტყვები, რომლებსაც ის ასეთი პათოსით წარმოთქვამს, ქართული მწერლობის სიტყვებია".

და თუ მაინც კითხულობს ვინმე, სად არის ქართული მწერლობაო, იქნებ იგი შორს გამიზნული, ქვენაგრძნობებით ნაკარნახევი კითხვაა, იქ, ხვალინდელ თავისუფალ საქართველოში, მწერლობისთვის წამოსაყვედრებლად გამიზნული: ჩვენ რომ ვიბრძოდით, ქართული მწერლობა ჩვენს გვერდით არ იყო...

ასეთი წინდახედული და თადარიგიანი ხალხიც არსებობს ამ ქვეყანაზე...

ასე შორს მივყავართ „პირველობისთვის ბრძოლას" და თქვენს „პირველ-მეორეზე გაითვალეთ"-ის პრინციპზე აგებულ წერილს. არა მგონია, ასეთი „გაჯიბრება" ხელს უწყობდეს ჩვენს ერთიანობას და კონსოლიდაციას.

იქვე, ისე, „სხვათაშორისოდ" სიტყვას ჩამოაგდებთ „დემოკრატიის დასაცავად ამხედრებული" 21 კაცის წერილზე. ესეც ისეა ნათქვამი, რომ შეიძლება მკითხველი დაეჭვდეს, ვახტანგ ხარჩილავაც ხომ არ ურევია იმ 21 კაცში. რა თქმა უნდა, თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ, ყველა იმ 21 ხელისმომწერის ვინაობა და იცით, რომ მე იქ არ ვურევივარ, მაგრამ მაინც საყოყმანოდ ტოვებთ საქმეს — არც ამ წერილს ასახელებთ, არც იმას, თუ სად დაიბეჭდა იგი, რომ დაინტერესებულმა პირმა ადვილად შესძლოს მისი მონახვა და ბოლომდე გაერკვეს, რაზეა ლაპარაკი.

ამ წერილს არა, მაგრამ მეორე წერილს („სამართლიანობა უნდა აღდგეს") კი ვაწერ ხელს, რომელიც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნებული: „ზედმეტად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ ზვიად გამსახურდია ყოვლად უსაფუძვლოდ, ტოტალიტარული სახელმწიფოს პოლიციური რეჟიმის მიერ შეთითხნილი „ბრალდებებით" იქნა მოკვეთილი მწერალთა ოჯახიდან და მისი კანონიერ უფლებებში აღდგენა, თუნდაც ასე დაგვიანებით, ჩვენი ზნეობრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობაა".

იქნებ ცოტა უხერხულიც იყოს, მაგრამ, გარემოება მაიძულებს, ერთი „საიდუმლო" გაგიმჟღავნოთ: ამ წერილს მხოლოდ ხელს კი არ ვაწერ, ის ჩემი დაწერილია!

არც მაშინ მოვრიდებივარ ვინმეს, როდესაც ზვიად გამსახურდიას თავზე ფარისეველთაგან მორეკილი შავი ღრუბლები იროდა და მეც ვაწერდი ხელს იმ წერილს, რომელშიც ქართველი მწერლების ერთი ჯგუფი კატეგორიულად მოითხოვდა შეწყვეტილიყო ყოველგვარი დევნა და პროვოკაციები ზ. გამსახურდიას მიმართ. ზოგიერთი მათგანი, ვინც ამ განცხადებაზე ხელის მოწერა არ ისურვა „ობიექტური მიზეზების გამო", დღეს მაამებლურ და გულისამაჩუყებელ სიტყვებს არ იშურებს ზ. გამსახურდიას მიმართ... შეუნდოთ უფალმა!

ჩემით არ კმაყოფილდებით და იქვე მთელ ინტელიგენციას, თითქმის ყველას განურჩევლად, ზვიად გამსახურდიას უპირისპირებთ. „გაყიდულებზე" რომ არაფერი ვთქვათ, თურმე „ჩვენი პატიოსანი ინტელიგენციის ნაწილიც, რბილად ვიტყოდი, „თეთრ შურს" ვერ მორევია"... და „თეთრი შურით" დაბრმავებულნი, რას არ ჩადიან, რომ როგორმე დიდების კვარცხლბეკი მოურყიონ ბატონ ზვიადს — აკრიტიკებენ, შეცდომებს უჩხრეკენ, არადემოკრატიულობაში დებენ ბრალს.

ამ „პატიოსანი" ინტელიგენციის ნაწილში, ალბათ, მწერლობასაც გულისხმობთ, სხვანაირად როგორ იქნება!

რა ყოფილან ეს ინტელიგენტები — „პატიოსანი ნაწილი" რომ ამას აკეთებს, წარმოიდგინეთ, უპატიოსნო ნაწილი როგორ დააქცევს ქვეყანას.

კი, მაგრამ, თქვე კაი დედმამიშვილო, ამხელა ბრალდებას რომ უყენებთ ინტელიგენციას, რაღაცით არ უნდა დაასაბუთოთ? მე კარგი, თქვენებური კაცი ვარ და ყოველგვარი საბუთის გარეშე, რასაც გნებავთ, იმას მომაწერთ (არცერთი ციტატა არ გაქვთ მოტანილი ჩემი წერილიდან, რომლითაც „დანაშაულს" დამიმტკიცებდით. რაც არ იყო, რას მოიტანდით?), მაგრამ ამ ადამიანებს რას ერჩით, ასე უსაბუთოდ რომ განიკითხავთ?

„...ჩვენს ინტელიგენციაში უკვე შესამჩნევია ნელ-ნელა ხვლა ეროვნულ მოძრაობაში მისდამი დაპირისპირებული მხარისაკენ" — წერთ თქვენ. თუ ინტელიგენცია მართლაც მიდის „ეროვნულ მოძრაობაში მისდამი დაპირისპირებული მხარისაკენ", ეს იგივეა, რაც ეროვნული მოძრაობისთვის ზურგის შექცევა, ეროვნული მოძრაობის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადაბარგება. თქვენი ეს გაუმართავი წინადადება რომ გადმოვაქართულოთ, „ეროვნულ მოძრაობაში მისდამი დაპირისპირებული მხარისკენ" სვლა ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ სვლას ნიშნავს.

ეს თითქმის ღალატია, თუმცა, რატომ „თითქმის", ეს ეროვნული მოძრაობის ღალატია!

ღალატში გვდებთ, ბატონო თემურ, ბრალს?

სულ ტყუილად დამისარჯავს დრო და ქაღალდი, როცა ვწერდი: „მტრის, მოღალატის, ცოდვილის, კეთროვანის ძიება სახიფათო და სახტიკო თამაშია" და ამ თამაშს ნუ ვითამაშებთ-მეთქი.

როგორც ვატყობ, თქვენც გუყვარებიათ ამ „თამაშით" თავის შექცევა.

ეროვნული მოძრაობის დაპირისპირებულ მხარეს ვინ დგას, არ იცით? ასეთი რა დაგიშავათ ამ ადამიანებმა, რომ მტრის ბანაკში ამოაყოფინეთ თავი?

თუ თქვენ „მტრის ბანაკ" კი არა, იმ ძალებს გულისხმობთ, რომლებიც რადიკალური, უკიდურესი ღონისძიებების წინააღმდეგნი არიან და მიაჩნიათ, რომ ეროვნული მოძრაობა მოიგებს, თუ იგი პარლამენტური გზით, ეტაპობრივად განვითარდება, ეს ძალები ეროვნულ მოძრაობას დაპირისპირებული მხარე კი არ არის, არამედ ამ მოძრაობის ერთ-ერთი მიმართულება, საერთო მიზნისკენ მიმავალი პარალელური გზა.

არადა, როგორი მონდომებით უბერავენ სულს ზოგ-ზოგნი ამ ორ მიმართულებას შორის აბეზტებულ ცეცხლს, როგორ ცდილობენ ბზარი გააღრმავონ და გააფართოვონ.

ნუთუ ვერ გრძნობენ ისინი, თუ რა საშიში გართულებები შეიძლება მოჰყვეს ამას? „...ციხეს ერთი აზრი და ერთი სარდალი უნდა ჰყავდეს, ნუ გავტეხთ ციხეს შიგნიდანო" — ბრძანებთ და მართებულადაც, მაგრამ განა ციხის შიგნიდან გატეხვა არ იქნება, თუ სარდალს ყურში გამუდმებით ჩავჩურჩულებთ: „მეციხოვნენი ღალატობენ, რაღაც განზე მიუდით თვალები, მგონი, საპირისპირო მხარეს სვლას აპირებენო".

თქვენ მართალი ხართ — ინტელიგენცია არ დაუმალავს თავისი სიმპათიები პარლამენტური გზისადმი, მაგრამ, განა ეს ნიშნავს იმას, რომ მან ეროვნულ მოძრაობას ზურგი შეაქცია? ისიც მართალია, რომ „ინტელიგენცია თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება ბრძოლას, სიფათს, ძალადობას", მაგრამ ის ფრთაც, რომელსაც პირობითად რადიკალური ფრთა ვუწოდეთ, იგივეს არ იმეორებს, როცა ამბობს, რომ კატეგორიულად წინააღმდეგია ყოველგვარი ძალისმიერი მეთოდებისა და მხოლოდ მშვიდობიანი გზით, მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით უნდა ვცადოთ დამოუკიდებლობის მიღწევა. განა ეს თავისთავად პარლამენტური ბრძოლის ფორმებს არ გულისხმობს?

ასე, რომ, ჩემი ფიქრით, აქ აზრთა პოლარული განსხვავება არც არსებობს და თუ რაღაც უთანხმოება მაინც არის, მიზეზი სხვაა და არა ის, რომ „ციხეში" აზრთა სხვადასხვაობაა.

ერთმანეთს [illegible] ერთმანეთთან ძიძგილში, [illegible] საქართველო [illegible], [illegible] ბო!

რაც შეეხება ეროვნულ მოძრაობას და ინტელიგენციას შორის განხეთქილების პროვოცირების მცდელობას, ჩემი აზრით, ეს სულაც არ გახლავთ მარტოოდენ ვარაუდი და ეჭვი. ეს აშკარაა! „ვიღაცა" მართლაც არსებობს და მოხერხებულად შემოაგორებს ხოლმე ამ განხეთქილების ვაშლს, როცა დასჭირდება. მაგრამ კონკრეტულად ვინ არის ეს „ვიღაცა", ძნელი სათქმელია — კარგად ორგანიზებული და გაწვრთნილი სპეციალური უწყება თავისი მრავალრიცხოვანი თანამშრომლებით თუ შურისძიებით ანთებული მასის ძველისძველი ჩვევა — დამნაშავე ეძებოს ინტელიგენციაში.

ბოლშევიკებმა თავიანთი სისხლიანი მოღვაწეობა იმით დაიწყეს, რომ გახელებული მასა მიუსიეს ინტელიგენციას. ამ მეთოდს ისინი შემდგომშიც წარმატებით იყენებდნენ — სანგამოშვებით ეპიდემიასავით იფეთქებდა ხოლმე გაბოროტებული შეძახილები ინტელიგენციის მისამართით, ანგარიშსწორების ჟინი წამოუვლიდა მასას ერთბაშად.

ვინ უკეთებდა „ორგანიზაციას" ყოველივე ამას? რა თქმა უნდა, ხელისუფალნი, რომლებსაც მოხერხებულად გადაჰქონდათ უკმაყოფილო მასის ყურადღების აქცენტი ინტელიგენციაზე, რათა თვითონ ჩრდილში დარჩენილიყვნენ და უშიშრად განეგრძოთ თავიანთი ბნელი საქმიანობა.

წერილში „სად არის ქართული მწერლობა" მე გაკვრით ვწერდი მასის უმრავლესობის — „ბოლშინსტვოს" მართვის ბოლშევიკურ მექანიზმზე. მინდა აქ უფრო ვრცლად ვილაპარაკო ამაზე, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია თქვენს წერილში გამოთქმულ ზოგიერთ შენიშვნასთან.

1917 წელს ხელისუფლების სათავეში უხეში, უბირი, სასტიკი ძალა მოექცა — შურისძიების, ნგრევის, პარტახის ჟინით შეპყრობილი „ბოლშინსტვო" — „ბოლშევიზმი". „ბოლშინსტვო" არ ცნობს ერთის, ინდივიდის სიმართლეს და სწორედ ესაა მისი ტრაგედია, ესაა მისი თვითმკვლელობის, თვითშემუსვრის მიზეზი. „უმრავლესობას" არ ახსოვს, რომ ის ინდივიდებისგან შედგება. კოლექტიური ანგარიშსწორება ინდივიდთა მიმართ ფაქტიურად „უმრავლესობისთვის" ანგარიშსწორებაა, თითო-თითოდ, ცალ-ცალკე!

ასეთია ბოლშევიზმის ბორალი, მისი ტაქტიკა, რომელიც დღემდე ბოგინობს...

როცა უმრავლესობა უმრავლესობასთან, ანუ საკუთარ თავთან ბრძოლით არის გართული, მას შეუმჩნეველი რჩება მისი უბედურების მთავარი მიზეზი — სახელმწიფო, პოლიტიკური სისტემა.

ლოზუნგი „ძალაუფლება მასებს" სინამდვილეში მასებისთვის ძალაუფლების გადაცემას კი არ გულისხმობს, არამედ მასების დათრგუნვას... მასების ხელით. — „მიეცი" მასებს ძალაუფლება და ის თვითონ გაუსწორდება თავისთავს — აი, ასეთი მზაკვრული, ზეფარული შინაარსი დევს ამ ფორმულაში.

ბოლშევიკებმა შესანიშნავად გამოიყენეს ეს სატანისეული მეთოდი მასების დაშოშმინებისა, რაც ხელისუფლების სათავეებში მდგარი კლასის ხელშეუხებლობის და უშიშროების გარანტად იქცა.

ადამიანთა თანასწორობის სახელით შექმნილ სახელმწიფოში ყველაზე უუფლებო და დაუცველი აღმოჩნდა ადამიანი და აქედან გამომდინარე, ყველაზე უუფლებო და დაუცველი აღმოჩნდა თვით... „უმრავლესობა", რომელსაც „ძალაუფლება" შეაჩეჩეს ხელში. იქ სადაც დაუცველია ერთი, დაუცველია ყველა, ამიტომაც გასაგებია, თუ რატომ იქცა „ბოლშევისტურ" ილუზორული მმართველობის პრინციპებზე აგებული ბოლშევიკური სახელმწიფო უზარმაზარ საპყრობილედ, სადაც „ბოლშინსტვო" სასტიკად უსწორდებოდა „ბოლშინსტვოს". „წითელი ტერორი", ვი-

(დასასრული მე-6 გვ.).

(დასასრული)

40-იანი წლების გაუგონარი მასშტაბის რეპრესიები ამ მეთოდის ნაყოფია. აგულიანებდნენ, აქეზებდნენ სისხლით მთვრალ „უმრავლესობას“ თვითმარქვია ბელადები, „მტრისკენ“ უთითებდნენ, „მტერს“ უსევდნენ. უმრავლესობას კი ვერ გაეგო, რომ „მტერი“, რომელსაც ასე გულდაგულ თელავდა და თქერავდა ჩექმებით, თვითონ იყო, ხორცი, რომელსაც გლეჯდა, მისი ხორცი იყო. „უმრავლესობას“ თავისივე გოლიათური სხეული გაეგდო ძირს და დაუნდობლად გლეჯდა და ფლეთდა.

მხოლოდ ახლა, ბოლო წლებში-ლა იწყო გამოფხიზლება „უმრავლესობამ“ და თავისი უბედურების ნამდვილ მიზეზს დაუწყო ძებნა. ხელისუფლებამ კვლავ სცადა ნაცადი ხერხი ეხმარა და გასაგლეჯად მიეგდო არა სისტემა, არამედ სისტემის პროდუქტი — ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული აპარატი.

ცდა მარცხით დამთავრდა — ვერ დაიმალა, რომ ტრაგედიის სათავე თვითონ სისტემაში დევს.

ახლა ის გავიხსენოთ, რა ლოზუნგი შეაგებეს გორბაჩოვს ლიტვაში: „ნუ შეაჯახებ ინტელიგენციას მუშათა კლასს!“ ამ ლოზუნგით ყველაფერია ნათქვამი — გახსნილია იმ მექანიზმის არსი, რომლითაც ცეცხლს აღვივებდნენ, გახსნილია სისტემის მეთოდი, მისი პროვოკაციული ხასიათი და როცა ეს ყველაფერი ცნობილია და გაშიფრული, ადამიანები ასე ადვილად არ წამოეგებიან ანკესზე.

ბალტიისპირელთა შესაშური ერთიანობა, როცა ყველა ერთადაა — უპარტიოც და პარტიულიც, მუშაც და პროფესორიც, გლეხიც და მწერალიც, იქნებ, ზემოთხსენებული მექანიზმის გახსნის და გაშიფვრის შედეგია სწორედ.

ჩვენც, სანამ მოხერხებულად შემოგორებულ ვაშლს დავეტაკებოდეთ და წავეხეოდეთ, იმაზე დავფიქრდეთ, ვაშლი მოწამლული ხომ არ არის და მისი შეჭმის შემდეგ ერთმანეთის შეჭმის გუნებაზე ხომ არ დავდგებით?

არაფერი ისე სახიფათო არ არის ჩვენი ეროვნული მოძრაობისთვის, როგორც ერთმანეთისადმი უნდობლობა, ერთმანეთში მოღალატის ძებნა, ერთმანეთის უსიყვარულობა და უპატივცემულობა.

ნუ წამოვეგებით პროვოკაციაზე და, თქვენი თქმისა არ იყოს, ნუ გავატეხინებთ ციხეს შიგნიდან, ასე ჰაიჰარად ნუ ვუწოდებთ ერთმანეთს მოღალატეს და გამცემს, თორემ ეს კატასტროფამდე მიგვიყვანს.

ასეთი მოწოდება ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ ეროვნული მოძრაობის განმტკიცებისკენ.

საქართველოში ვერ უნდა იხაროს საშიშმა სენმა — მტრის, მოღალატის, „გაიძვერა მოყვრის“ ძებნის და მხილების სენმა. ეს სენი ტვინს წამლავს, გულს აქვავებს, აბრმავებს, აყრუებს, აჩლუნგებს ერს და მერე გარეშე მტერი რაღად გვინდა — ჩვენ თვითონვე დავერევით ერთმანეთს, ჩვენ თვითონვე დავღადრავთ ერთმანეთს ყელს, ჩვენ თვითონვე დავთხრით ერთმანეთს თვალებს იმ ნამდვილი მტრის თვალსასეიროდ და გასახარად.

ახლა კი მთავარი ბრალდების შესახებ, რომელიც თქვენში განსაკუთრებულ „აღშფოთებას“ იწვევს — თურმე ნუ იტყვით, და მე ხალხს (ამ შემთხვევაში ქართველ ხალხს) „მასას“, „უმრავლესობას“ — „ბოლშინსტვოს“ ვუწოდებ, თან ყველა სიკეთესთან ერთად „ზემოდანაც“ ვუყურებ. ამის მოსდევს თქვენი მაღალფარდოვანი, ალაგ-ალაგ რიტორიკული შეძახილები, რომ „ვინც არ უნდა იყოს იგი და როგორი დამსახურებაც არ უნდა მიუძღოდეს მას ერის წინაშე, არა აქვს მორალური უფლება თავისუფლების იდეით აღტკინებულ ხალხს ბრბო უწოდოს“. მერე მოდის ზოგადი მსჯელობანი ხალხის გადამწყვეტი როლის შესახებ და ა. შ., ა. შ.

...თქვენი წერილის ამ მონაკვეთმა, გამოგიტყდებით, ძალიან მატკინა გული, იმიტომ, რომ რასაც თქვენ ბრძანებთ, ცილისწამებას უფრო ჰგავს, ყოვლად დაუსაბუთებელ, მკრეხელურ ცილისწამებას, რადგან იმ აზრით და შინაარსით, როგორც თქვენ გინდათ წარმოადგინოთ ჩემი მსჯელობა, არაფერი მითქვამს.

მიჭირს დავიჯერო, რომ თქვენ, ფილოსოფოსმა კაცმა, არ იცით, რა განსხვავებაა ხალხსა და მასას შორის, ხალხსა და ბრბოს შორის, რომ ამ ტერმინებს საერთო არაფერი აქვს ხალხის ცნებასთან. მაგრამ, ეტყობა, თქვენ ვერ გაიგეთ, ან ღრმად არ ჩაუკვირდით ჩემი ნათქვამის ქვეტექსტს და თქვენი უმართებულო ბრალდებაც გაუგებრობიდან მოდის.

კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ჩემი წერილი, მე იქ არსად არ ვამბობ „ხალხს“, არ ვამბობ იმიტომ, რომ ჩემი სათქმელი აბსოლუტურად არ გულისხმობს ხალხს.

არა, ვულგარული მარქსიზმის ინტერპრეტატორად არ გთვლით, მაგრამ თქვენ ინერციით იმეორებთ მარქსიზმის მიერ დამკვიდრებულ ტერმინ მასას ხალხის მნიშვნელობით. თქვენი მსჯელობიდან გამომდინარე „მასას“, „ბრბოს“ თქვენ უწოდებთ ხალხს და არა მე. ეს არცაა გასაკვირი, ჩვენ, კომუნისტური საზოგადოების უბედურ შვილებს, ათეული წლების განმავლობაში ტვინში გვილურსმავდნენ, რომ მასა ხალხია. რამდენჯერ გაგვიგონია და წაგვიკითხავს „მშრომელთა მასები“, „აღტაცებული მასა“, „ბედნიერი მასა“, „შემოქმედი მასა“. მასა, სოციალისტურ იდეოლოგიაში, გარკვეული სოციალური ნიშნით აღბეჭდილი ადამიანთა ფენის აღმნიშვნელი ტერმინიდან ხალხის ცნების შემცველ ტერმინად იქცა.

ხალხის ცნება ბოლშევიკებმა შეგნებულად გააყალბეს, თუ რატომ და რის გამო, ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს.

ჩვენ ვამბობთ, ქართველი ხალხი და არა ქართველი მასა, რადგან ქართველი მასა არ შეიძლება არსებობდეს ისე, როგორც არ შეიძლება არსებობდეს ფრანგი მასა, ინგლისელი მასა. მასა გარკვეულ სიტუაციაში წარმოშობილი ხალხის რაღაც ნაწილია და არა მთლიანად ხალხი.

ასევეა ბრბოც. ბრბოს ადამიანთა ჯგუფიდან ექსტრემალური სიტუაცია კრავს ერთ იდეას, ერთ მიზანს დაქვემდებარებულ ძალად, რომელიც თავის გზაზე უმოწყალოდ ანგრევს ყველაფერს, ანადგურებს, ხოცავს, წვავს, ბილწავს...

ადამიანთა ასეთი ჯგუფი, როცა ბრბოდ იქცევა, უკვე წყვეტს კავშირს იმ ხალხთან, რომლისგანაც არის წარმოშობილი, რადგან კავშირს წყვეტს იმ მორალურ-ზნეობრივ კოდექსთან, რომლითაც ცხოვრობს მისი ხალხი.

ბრბოს პროვოცირება, მისი აღტკინება მრავალგვარი ფაქტორით შეიძლება, მათ შორის, ეროვნული გრძნობებითაც, მაგრამ ასეთ აღტკინებას ჭეშმარიტ ეროვნულ გრძნობებთან სინამდვილეში არაფერი აქვს საერთო. ის უაზრო ანგარიშსწორებად, სისასტიკედ, ვანდალიზმად იქცევა, როგორც კი მოქმედებას იწყებს. გავიხსენოთ ფერღანის ამბები — სხვა ამბებიც გავიხსენოთ, საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი ამბები, განა ოსური თუ აფხაზური ექსტრემიზმი „ეროვნული“ გრძნობებით არ იყო შელამაზებულ-მოტივირებული?

ბრბოს ვნებები უწმინდური და უგვანოა, ხალხისა კი წმინდა და მართალი. ბრბო უგონოა, ხალხი გონიერი.

ხალხი არ არის მხოლოდ ბევრი ადამიანი ერთად — რიცხობრივი რაოდენობა ყოველთვის არ გამოდგება იმისთვის, რომ მას ხალხი ვუწოდოთ.

სამწუხაროდ, ხანდახან მცირეოდენი ბიძგი, ერთი შეძახილიც კი კმარა, რომ ადამიანთა ჯგუფი მასად, ბრბოდ, ლავინად გადაიქცეს.

ეს იცის ინტელიგენციამ, იცის მწერლობამაც და მისი მოწოდება გონიერებისკენ ხიფათის თავიდანვე, დასაწყისშივე აღსაკვეთად არის მიმართული.

ეს მოწოდება მოყვრის, გულშემატკივრის, ჭირისუფლის მოწოდებაა, თორემ ერთი ნაბიჯი თუ გადაიდგა, მეორეც თავისთავად გადაიდგმება და უკვე გონდაკარგული გრიგალის შეკავება შეუძლებელი გახდება. გრიგალის, რომელმაც შეიძლება მასზე უფრო საშინელი გრიგალი გამოიწვიოს და ზედ შეელეწოს.

რატომ უთვლით ამ გაფრთხილებას დანაშაულად ვინმეს, ვერ გავიგია.

როცა ხალხის რაღაც ნაწილს მასად, ბრბოდ ქცევის პირველი სიმპტომები გამოაჩნდება, მაშინვე უნდა შველა, თორემ მერე გვიან იქნება.

იცით ეს თქვენ, იცით! არ შეიძლება არ იცოდეთ, და მითუმეტეს, გასაკვირია, რომ თავს ისე გვაჩვენებთ, თითქოს არ იცოდეთ...

იცით, რომ არც 9 აპრილს შეკრებილი ხალხისთვის, ლოცვად დამდგარი ხალხისთვის შემეძლო მეწოდებინა ბრბო და არც აფხაზეთში მოძმეთა დასახმარებლად დაძრული 100 000-იანი ლაშქრისთვის, იცით და მაინც ამბობთ. რატომ, რისთვის? ზ. გამსახურდიას დაპირისპირება გეცოტავათ და ახლა 100 000-იანი ლაშქარი გინდათ მომაყენოთ კარზე?

ეს, ბატონო თემურ, ბატონო თემურ!

ისიც გეცოდინებათ თქვენ, იმ 100 000 კაცს ეროვნული მოძრაობის ლიდერები რომ დაუდგნენ და წინ წასვლის უფლება არ მისცეს. განა მხოლოდ იმიტომ, რომ წინ შეიარაღებული ჯარი იდგა... დარწმუნებული ვარ, ეს ჯარი სულაც რომ არ ყოფილიყო იქ, ისინი მაინც ამასვე მოიმოქმედებდნენ, რომ ხალხი, შეურაცხყოფილი ხალხი, თავისი ეროვნული ღირსების დამცველი ხალხი, ხალხიდან ბრბოდ, მასად არ გადაქცეულიყო, „უმრავლესობად“ არ გადაქცეულიყო, რომელიც უმცირესობას ადვილად გადათელავდა და გადათქერავდა. ხალხიც მიუხვდა თავის წინამძღოლებს, მიუხვდა და გონს მოეგო, თორემ რამდენიმე კაცის გვერდზე გადახრობას რა უნდოდა.

იმ დღეს, კიდევ ერთხელ გამოჩნდა ქართველი ხალხის თანდაყოლილი სიბრძნე, ის თანდაყოლილი შინაგანი იმუნიტეტი, რომელიც ქართველ ხალხს ბრბოდ გარდასახვისგან იფარავს.

ასეთი რთული და აბსურდულია ის გარდამავალი ხაზები, რომლებიც გაბმულია ბრბოს — მასას — უმრავლესობას და ხალხის ცნებას შორის.

თქვენ კი ცალმხრივად, ზედაპირულად და ზერელედ საზღვრავთ რა ხალხის ცნებას, ლამისაა მისდამი უპატივცემულობაში დამდოთ ბრალი. ახლა ჩემი ჯერი დადგა გკითხოთ: ვინ მოგცათ ამის უფლება?

ჩემი მოწიწება და პატივისცემა ხალხისადმი არაერთგზის გამომითქვამს. თავს ნებას მივცემ ერთი მაგალითი მაინც მოგიყვანოთ სანიმუშოდ: „როცა ეგონათ, გადაივიწყა, რაც ტკივილი და ტანჯვა იწვნია, მაშინ თქვა სწორედ: — მე არაფერი, მე არაფერი არ დამვიწყნია! როცა ეგონათ, დაჩაჩანაკდა, დაუძლურდა და უკვე იძლია, მაშინ შესძახა: „მე არაფერი, მე არაფერი არ დამვიწყნია!.. არ შეიძლება გახდეს ბეჩავი, ვინც ისტორიის მეკვლედ გვიცვნია. — თქვენ არაფერი არ შეგეშალოთ, მე არაფერი არ დამვიწყნია!“ ეს ლექსი ხალხისადმია მიძღვნილი და ეპიგრაფად უძღვის გალაკტიონის სიტყვები: „ხალხი და მხოლოდ ხალხი!“

არ გეგონოთ, თქვენი „ლექციის“ შემდეგ „მოვეგე“ გონს და ეს ლექსი მერე დავწერე. ის გასული წლის „ცისკრის“ მე-9 ნომერშია დაბეჭდილი, დაწერილი კი გაცილებით უფრო ადრეა.

რაც შეეხება „მასის“, „უმრავლესობის“ ჩემეულ განმარტებას, თუ ამან არ დაგაკმაყოფილოთ, მაშინ ილია ჭავჭავაძეს მიმართეთ, მის წერილებშიც ჩაიხედეთ, თქვენთვის განსაცვიფრებელ ზოგიერთ ისეთ დეტალსაც აღმოაჩენთ, რომელიც „უმრავლესობა“ — „უმცირესობის“ მიმართების თქვენეულ შეფასებას ძირფესვიანად აუფასურებს.

...ვწერ ამ წერილს და, ასე მგონია, 37 წლის საზარელი აჩრდილი მადგას თავზე. მაშინაც, ალბათ, ასე უხდებოდათ თავის მართლება აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანებს. მიხეილ ჯავახიშვილს, ალბათ, იმის მტკიცება სჭირდებოდა, რომ ხალხის მტერი, მოღალატე, ჯაშუში და დივერსანტი არ იყო, ტიციან ტაბიძესაც, სხვებსაც — ათასებს, ათიათასებს, ასიათასებს...

თქვენს სიტყვებსვე დავესესხები: ხალხი, „ღვთისგან ჩადებული უტყუარი ალღოთი“ ბოლოს აუცილებლად გაარკვევს „სადაა სიმართლე და სადაა სიმრუდე“.

აკი გაარკვია კიდევაც ბევრი რამ, მაგრამ გარკვევას დიდი დრო დასჭირდა — უდანაშაულოდ მოკვეთილთა და გასრესილთა გაცოცხლებას ვერ შევძლებთ უკვე.

ხალხს ხანდახან დრო სჭირდება სიმართლის დასადგენად, ხალხიც ცდება გარკვეულ მომენტამდე, იბნევა, მალემრწმენი ხდება, ოღონდ გარკვეულ მომენტამდე.

რატომ ვავალდებულებთ ქართულ მწერლობას და ინტელიგენციას გაურკვეველი პოლიტიკური პოზიციისა და მიზნების ადამიანთა ჯგუფის ყველა „ღონისძიებაზე“ „მასოვკად“ დადგეს? არ გეჩვენებათ, რომ მავანს და მავანს ფასადის გასალამაზებლად, ავტორიტეტის ასაწევად, ზურგის გასამაგრებლად სჭირდება ქართული მწერლობა და არა თანაბარუფლებიან თანამოაზრედ ეროვნულ მოძრაობაში?

ზოგს მაინც და მაინც მასთან, მის გვერდით დგომა ჰგონია ეროვნულ მოძრაობასთან დგომა. მწერლობა ვერ დადგება ვიწროპარტიული შეტაკებების ვერც ერთ და ვერც მეორე მხარეზე, ის ეროვნულ მოძრაობასთან უნდა იდგეს.

თქვენ სავსებით სწორად ბრძანებთ, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება „ეროვნული მოძრაობა ცალკეულ პარტიებად დავაქუცმაცოთ“. ისიც სწორია, რომ შუა გზაზე არ უნდა შევჩერდეთ და შეუპოვრად ვიაროთ წინ. მაგრამ რატომ მეუბნებით ამას მე — მე საწინააღმდეგო რამ ოდესმე მითქვამს?

ერთი აზრი უნდა გვქონდესო — ბრძანებთ თქვენ, და ეს ერთი აზრი დღეს უკვე არსებობს — თითქმის ყველასთვის საერთო ერთი აზრი — თუმცა ამას საერთო მიზანი უფრო ეთქმის, ვიდრე აზრი — დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო.

ამ საერთო მიზნის მისაღწევად შეიძლება, შეიძლება კი არა, აუცილებელიცაა, რომ ყველას ჰქონდეს საკუთარი აზრის თავისუფლად, უშიშრად გამოთქმის უფლება და საშუალება. სხვადასხვა აზრმა, ამ აზრების შედარება-შეჯერებამ უნდა შვას ის საერთო აზრი, რომელსაც ხალხი გაიზიარებს.

ჯერჯერობით მე ამ საერთო აზრს, ცენტრალურ იდეას ვერ ვხედავ. ის ჯერ კიდევ ჩამოყალიბების, მტკიცე ფორმულად ქცევის სტადიაშია და, ამდენად, აზრთა ჭიდილი და დუღილი ამ ეტაპზე სრულიად მისაღები და მოსათმენია.

იმაში კი გეთანხმებით, რომ აზრთა სხვადასხვაობა არ უნდა იქცეს დაქუცმაცების, დაყოფის, მით უმეტეს, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნის საბაბად.

თუ ყველა ვივლით ერთი საერთო მიზნისკენ, ვივლით თუნდაც სხვადასხვა გზებით, მაგრამ ერთი მიზნისკენ, ეს მიზანი ბოლოსდაბოლოს ყველა გზას და გზაწვრილს ერთ გზად შეკრავს, რადგან რომელილაც მონაკვეთიდან უკვე ერთი გზაღა იწყება, რომელშიც ჩაედინება ყველა დანარჩენი გზა და ბილიკი.

თვითმკვლელობის ექსტაზით შეპყრობილ ხარაკირებს კი არ უნდა დავემსგავსოთ, სიკვდილის ბანგის შორეული სურნელით გაბრუებულ, ფანატიზმით გონებადაბნეულ და დაბრმავებულ ხარაკირებს, არამედ რაინდებად ვიქცეთ, რაინდული წესით ვიცხოვროთ და ვიბრძოლოთ და ვიბრძოლოთ არა სიკვდილისათვის, არამედ სიცოცხლისათვის, თავისუფლების გზით გაბრწყინებული სიცოცხლისათვის, მარადიული სიცოცხლისათვის.

სიკვდილი მოიცდის!

ქართული ეროვნული მოძრაობა სიცოცხლის სახელით, ხალხის სიცოცხლის გადარჩენის სახელით წამოწყებული მოძრაობაა და არა აღსასრულისკენ სანთლებით ხელში მიმავალი სიკვდილის ბანგით გონებადაბინდული პროცესია, ყვითლად მბჟუტავი იმქვეყნიური შუქისკენ მორჩილად წაფარფატებული.

„ჩვენს წინაშე დღეს საკითხი ასე დგას: ან—ან, ან გავთავისუფლდებით, ანდა დავიღუპებით. მესამის დრო უკვე აღარ არის“. — წერთ თქვენ.

ეს აზრი გაშიფვრას საჭიროებს, რადგან იგი არ არის ერთმნიშვნელიანი და სხვადასხვანაირად შეიძლება იქნეს გაგებული.

სწორია, რომ აუცილებელია გათავისუფლება, [illegible] თორემ დავიღუპებით. მაგრამ რაცა ამას ვამბობთ, იქვე ისიც უნდა მოვაყოლოთ, დროის რა მონაკვეთს, რა ვადას ვგულისხმობთ. რას ნიშნავს იგი, ეს აზრი ხომ მრავალნაირად შეიძლება აღვიქვათ. მაგალითად, ასე: თუ ხვალ, 9 საათზე და 00 წუთზე არ გავთავისუფლდებით, დავიღუპებით! ან ასე: თუ ერთ წელიწადში არ გავთავისუფლდებით, დავიღუპებით! ან ასე: თუ ახლავე, ამ წუთასვე არ გავთავისუფლდებით, დავიღუპებით! ან ასე: თუ ათ წელიწადში არ გავთავისუფლდებით, დავიღუპებით! და ა. შ.

თქვენ რომელს გულისხმობთ? ამ კითხვას იმიტომ გისვამთ, რომ პასუხს დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გასარკვევად, თუ რა დრო გვაქვს, რომ ამის მიხედვით ვიმოქმედოთ. ვადის ცოდნამ, დროის ფაქტორმა უნდა განსაზღვროს ჩვენი მოქმედების ხასიათი, გადარჩენისთვის ბრძოლის ტაქტიკა და სტრატეგია.

თქვენ ბრძანებთ, რომ „მესამის დრო უკვე აღარ არის“, მე ეს ასე გავიგე: ახლავე, ამ წუთასვე უნდა გავთავისუფლდეთ, თორემ დავიღუპებით, მესამის დრო უკე აღარ არის!

თუ ეს ასეა, მაშინ იარაღი უნდა ავისხათ (ამ წუთას, ახლავე ჩვენს განთავისუფლებას ნებით არავინ აპირებს!) და მტერს შევებათ (მაინც ვიღუპებით და მონობას სჯობს თავისუფლებისთვის ბრძოლაში დავიღუპოთ). შევებათ მტერს და გავწყდეთ?

არ დავიღუპებით ჩვენ, არ გადავშენდებით არც დღეს და არც ხვალ, თუ საკუთარ მეობას, საკუთარ ღირსებას ფარად დავუდგებით. თავისუფლებასაც მოვიპოვებთ, ჩვენს დაქცეულ-დალეწილ სამშობლოსაც ფეხზე წამოვაყენებთ.

ვერცერთი მტერი ვერ მოგვერევა, თუ თავად არ ვუმტრეთ თავს, თუ ჩვენ თვითონ არ დავამარცხეთ საკუთარი თავი.

„სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა“, ეს სიტყვები მომადგა ენაზე. არ მოვიკლათ თავი სიკვდილამდე, სიკვდილს შემდეგ სიცოცხლე აღარ არის.

დამავიწყდა, პარტბილეთზე მკითხეთ წეღან: პარტბილეთის საქმე როგორ გაქვთო: „ცუდად“, ბატონო თემურ, „ცუდად“: უპარტიო ვარ!

ამ გახსენებაზე, თქვენ როგორ გაქვთ საქმე? თქვენი აქტიური კომკავშირული მოღვაწეობა რომ მახსოვს, წინ უნდა წაგეწიათ...

ახლა კი წინასწარ მინდა ბოდიში მოგიხადოთ, რადგან ისეთი რაღაც უნდა გითხრათ, რაც შეიძლება არ გესიამოვნოთ: თქვენი წერილის კითხვისას შინაგანად წინააღმდეგობაში მყოფი კაცი დავინახე. მე ამას ადვილად დაგიმტკიცებდით, მაგრამ არ მინდა ჩემს ნათქვამს კატეგორიული მტკიცების ელფერი მიეცეს, ჩათვალეთ იგი ვარაუდად, სუბიექტურ აზრად. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოსდა გზაჯვარედინზე დგახართ და ერთდროულად მარცხნივაც გინდათ წასვლა და მარჯვნივაც.

თქვენს სიტყვებში, სხვათა სიტყვებიც ჩამესმის, რომელიც თქვენ არ გეკუთვნით და რომლებისაც ბოლომდე არ გჯერათ. არ გჯერათ და მაინც ამბობთ...

აი, ის სიტყვები (და აზრები) რომ გამოვხშიროთ თქვენი სიტყვებიდან, აღმოჩნდება, რომ მე და თქვენ თითქმის თანამოაზრენი ვართ. და მე ეს არ მიკვირს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ის იქნებოდა უფრო გასაკვირი — ჩვენ ხომ ორივეს საქართველო გულწრფელად გვიყვარს, სიყვარული კი ის თვისებაა, რომელიც ყველაზე მეტად ამსგავსებს ადამიანებს ერთმანეთს.

სამშობლოს სიყვარული საყოველთაო რწმენაა და ამიტომ ყველა ქართველი ამ სიყვარულში გავერთიანდეთ, იქ ვპოვოთ შვება და ხსნა. ერთმანეთისადმი უნდობლობა გამარჯვების გზას ვერ გვაპოვნინებს, სიყვარული — კი!

მატარებელს ჩამორჩენილ კაცს შემადარეთ, თქვენი წერილის დასაწყისში. არ მწყინია! მატარებელს ჩამორჩენილი კაცის მდგომარეობა სჯობს იმ კაცის მდგომარეობას, რომელიც მატარებელში კი ზის, მაგრამ ის არ იცის, მატარებელი სად მიდის!

# „...ქართველები ქართველებად იხოცებოდნენ!“

## აგვისტოს აჯანყება

დაპირებისამებრ, ვაგრძელებთ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში, ბატონ შალვა ამირეჯიბის პირად არქივში დაცული სამშობლოში გამოუქვეყნებელი მასალების პუბლიკაციას.

ამჯერად გთავაზობთ პარიზში, 1924 წლის აჯანყების მეთერთმეტე წლისთავზე მის მიერ წარმოთქმულ უთუოდ საგულისხმო სიტყვას, რომელსაც, ჩვენი ფიქრით, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ეს სიტყვა, სხვა ყველა უდავო ღირსებასთან ერთად, ჩვენი ერის უახლესი ისტორიის ერთი უტყუარი მოწმობაც გახლავთ, ამგვარ სულისშემძვრელ მოწმობებს მრავლად ნახავთ პოეტისა და პოლიტიკური მოღვაწის ჩანაწერებში...

1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებულ სხვა მასალებს (ბ-ნი შალვას არქივიდან) სულ მალე მუზეუმის ყოველწლიური ალმანახის, „ლიტერატურის მატიანის“, საშუალებითაც გაგაცნობთ.

**ია ორჯონიკიძე**

ჩემი დღევანდელი სიტყვა აგვისტოს აჯანყებაზედ მოვალეა და უმთავრესად მის სულიერ შინაარსის მნიშვნელობის მოგონებას ეხება.

გავიდა თერთმეტი წელი მას შემდეგ, რაც წარმოუდგენლად უღიერად სასტიკ პირობებში მყოფი ქართველი ერი ადგა და ჰქმნა ის, რის ქმნაც ხელზედ და ფეხზედ ბორკილ დადებულ არსებას შეუძლიან.

არასოდეს, საქართველო-რუსეთის დამოკიდებულების თითქმის ას ორმოცდა-ათი წლის განმავლობაში, უცხოეთს, ესე იგი იმას, რასაც განათლებული კაცობრიობა ჰქვიან, იმდენი არ ულაპარაკნია საქართველოზედ, როგორც 1924 წლის აგვისტოს დღეებში. მსოფლიო სინიდისი, მუდამ სწორი და შეუცდომელი მსოფლიო მოვლენათა შეფასებაში მიხვდა, რომ აგვისტოს აჯანყება იყო დაჩაგრული ერის ამხედრება მჩაგვრელთა წინააღმდეგ, საქართველოსი — რუსეთის. ბევრი ილაპარაკეს და კიდევ უფრო მეტი იფიქრეს აგვისტოს აჯანყებაზედ, ამ თერთმეტი წლის განმავლობაში, თვით ქართველებმა. ვილაპარაკეთ და ვწერეთ აქ, ემიგრაციაში, სადაც შესაძლებელია წერაცა და ლაპარაკიც. იფიქრეს და ალბათ კიდევ ბევრს იფიქრებენ იქ, საქართველოში, სადაც თავისუფალი ლაპარაკისა და წერის უფლება არ არსებობს. ჩვენს ემიგრანტულ წერა-ლაპარაკში აგვისტოს აჯანყების შესახებ და მის შეფასების დროს, ბევრი სხვადასხვა აზრი თქმულა, ხშირად საწინააღმდეგო და ჩვენი ეროვნული შეგნებისათვის მავნე. ამ აზრებს ყველა იცნობს. ჩვენ არ შევეხებით მათ, რადგან ეს გადაგვიყვანდა კამათში, რომელიც დღევანდელი დღისათვის და ამ კრებისათვის შეუფერებელი იქნებოდა.

ამიტომ საკითხს პირდაპირ აგვისტოს აჯანყებაზედ ვაყენებ. რა იყო აგვისტოს აჯანყება? რა იყო აგვისტოს აჯანყება, რომელიც ეროვნული აჯანყება იყო, თორემ აჯანყება მრავალნაირია და ეტიმოლოგიურად აჯანყება იგივე რევოლუცია არის.

ამიტომ ჩვენ მზღვარი უნდა გავატაროთ ერთის მხრით ეროვნული აჯანყების და მეორეს მხრით საზოგადოთ რევოლუციის შორის.

ადამიანი, ანუ ის რასაც „კაცი ცნობიერი“ ჰქვიან მრავალფეროვანი არსების ცხოველი გამოდგა. მას არ აკმაყოფილებს მარტოდენ ზოოლოგიური ცხოვრება და მისი ფიქრისა და ზრუნვის ფარდობი განიერია. ის ქადაგებს სარწმუნოების აუცილებლობას, რათა ჩვენს სულს მოუაროს, ის ხდება ფილოსოფოსი, რათა ჩვენი გონება ავარჯიშოს, ის ხდება ხელოვანი, რათა ჩვენ ესტეტიკას უწინამძღვროს, ის ხდება პოლიტიკოსი, რათა ჩვენი ვნებანი ათამაშოს და ხალხზედ იბატონოს. ყოველივე ეს ისტორიაში დიდ გონებრივ და საზოგადოებრივ მოძრაობებს ჰქმნიდა, რომლის მშვიდობიან სახეს ევოლუცია ჰქვიან, ხოლო ძალდატანებითს— რევოლუცია.

რევოლუცია მუდამ შინაგანი პროცესია და მიმართულია საკუთარი საზოგადო წესების და საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ. აქ შინაგანი გარეგანს არ ებრძვის და შინაგანი მუდამ საკუთარს ებრძვის. მაგალითის მოსაყვანად ისტორიაში წასვლა არა ღირს. ჩვენი დრო ჭეშმარიტად დიდი რევოლუციების დროა. საკმაოა გამოვიყენოთ ბოლშევიზმი, ფაშიზმი, ჰიტლერიზმი. იყო კიდევ ერთი ცალკე რევოლუციონური დოქტრინა, რომელსაც დემოკრატიზმი ერქვა, მაგრამ რადგანაც დღეს ისიც ბოლშევიზმს უკავშირდება, მის შესახებ ცალკე ლაპარაკი საჭირო აღარ არის. ყველა ამ დოქტრინებს, მიუხედავათ მათი ძირითადი სხვადასხვაობისა, მაგალითად, როგორიც არსებობს ფაშიზმსა და ბოლშევიზმს შორის, ორი საერთო მოვლენა ახასიათებს. პირველი, რომ ისინი საკუთარი წესწყობილების წინააღმდეგ მოქმედობენ და ახალით სცვლიან და მეორე — რომ ემყარებიან დოგმას და მეტაფიზიკას. მთავარი აქ ის არის, რომ ახალმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა დოგმამ ძველი უნდა შესცვალოს. იგი ახალი რწმენის, ახალი ნაციონალური თუ ინტერნაციონალური შეგნების, დასასრულ ახალი კულტურულ-სოციალური გემოვნების საკითხი და მოვლენაა. აქ მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ახალ ეპოქას, ახალ იდეებს, დოგმატიკურს და წმინდა მეტაფიზიკურს, მოკლედ იმას, რასაც ჩვენ პროგრესს ვეძახით და შესაძლებელია, რომ დეკადანსი კი იყოს. ამ რიგად ყოველი რევოლუციის დასაწყისი დოგმატიკა და მეტაფიზიკაა.

სულ სხვაა ეროვნული აჯანყება. უპირველესად ყოვლისა, ეროვნული აჯანყება საკუთარი თავის წინააღმდეგ შეუძლებელია და ის მუდამ მიმართულია გარეშე ძალის წინააღმდეგ, რომელი ეროვნული აჯანყების ისტორიაც არ უნდა აიღოთ, ის მუდამ მიმართულია, სხვა მეორე ერის წინააღმდეგ. ბერძნების ეროვნული აჯანყება თურქების წინააღმდეგ იყო მიმართული, სერბების — იმავე თურქების, პოლონელების — რუსების, შამილის — იმავე რუსების, ირლანდიელების — ინგლისელების, ქართველების — კიდევ რუსების და სხვა. ეპოქა, ახალი იდეები, პროგრესი, დოგმა, მეტაფიზიკური მსჯელობა და სხვა — აქ არაფერ შუაშია. პირიქით მთავარი მნიშვნელობა აქ ტრადიციას, კონსერვატიზმს და მხოლოდ სისხლსა აქვს. აქ უმთავრესად რასისა და სისხლის კანონი მოქმედებს. არ არსებობს მოქმედება უფრო კონსერვატიული, ვიდრე ეროვნული აჯანყება. ეს ეროვნული კონსერვატიზმის კანონი უმთავრესად ხალხის შედედებულ ნაწილში ბუდობს, ესე იგი ერის ეგრეთ წოდებულ ჩამორჩენილ ფენებში და არა განათლებულ და ხშირად გადაგვარებულში. ეს სჩანს იქიდგან, რომ როდესაც ერის განათლებული ნაწილი სისხლის ამ ბრძოლას ივიწყებენ, მას იწყებენ ჩამორჩენილი და უბრალონი. როცა ეს სისხლი ზემოთ დუნდება — ცხოველდება ქვემოდგან.

განსხვავება ეროვნული აჯანყებასა და საზოგადოთ რევოლუციებს შორის ეს არის. თუ რა ზიანს აყენებს ერს, როდესაც ეროვნულ აჯანყებაში ეგრედ წოდებული რევოლუციონური მეთოდი ერევა— ესეც სწორედ აგვისტოს აჯანყებაში ვნახეთ. მაგრამ დღეს არც ამაზედ გავაგრძელებ სიტყვას.

საზოგადოთ კი, რადგანაც მე დღეს ეროვნულ აჯანყებაზედ ტრაქტატის წაკითხვას არ ვაპირებ, პირდაპირ გადავალ ზოგიერთ ამბების მოგონებაზედ, რომლებიც ჩვენს ეროვნულ აჯანყებას ახასიათებენ:

როდესაც ალინიშნა, რომ აჯანყება მარცხდება და ეს კი პირველსავე დღეს გამოირკვა, იჭერდნენ და ხვრეტდნენ ისეთ ხალხს, რომელსაც აჯანყებაში ან სულ არ ჰქონდა მიღებული მონაწილეობა, ან ვერ მოასწრეს მონაწილეობის მიღება, ესე იგი იჭერდნენ და ხვრეტდნენ მარტოდენ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ.

ყველამ უწყის, რომ ჭიათურამ მოქმედება ოცდაოთხი საათით ადრე დაიწყო. ამან საშუალება მისცა ბოლშევიკებს, რომ დანარჩენ ადგილებში, ხალხი, რომელიც მხოლოდ საღამოთი უნდა გადასულიყო მოქმედებაზედ, უკვე დილითვე დაეჭირათ და დაეხვრიტათ. აი, ამან შექმნა მდგომარეობა, რომ ხვრეტდნენ უბრალოდ ქართველებს და არა მათ, ვინც ბოლშევიზმის საწინააღმდეგო მოქმედებაში იყო შენიშნული, ან დაჭერილი. ამ დღეებში ტფილისში დიდი გასავალი ჰქონდა ერთი ქართველი ყასაბის სიტყვებს. როდესაც ერთმა რუსის დედაკაცმა შესწუწუნა ამ ყასაბს, რომ ძროხის ხორცი ასე ძვირად იყიდებოდა, მან უთხრა — მათუშკა, ეხლა იაფი მარტო ქართველების ხორციაო.

ცნობილია სხვა მეორე მაგალითი, რომელსაც ადგილი დასავლეთ საქართველოში ჰქონდა, ბოლშევიკებმა ერთ სოფელში, ადგილობრივ ჩეკას ოცდა ხუთი კაცის დახვრეტა მოსთხოვეს. სოფელი პატარა იყო. ოცდა ხუთი კაცი, უმთავრესად ახალგაზრდა, იქნება სულაც არ იყო სოფელში. თანაც ადგილობრივმა ჩეკამ განმარტა: აჯანყებაში მონაწილენი უკვე წავიდნენ, სოფელში მხოლოდ მოხუცებულები დარჩნენ, რომლებიც არაფერ შუაში არიანო. მაგრამ ოცდა ხუთი კაცი, დიდი თუ პატარა, მაინც მოაგროვეს და დახვრიტეს.

ცნობილია მესამე შემთხვევა, რომელსაც კახეთში ჰქონდა ადგილი. ერთი აზნაურის ოჯახში ქორწილი იყო. როგორც ყველა ქორწილში, თავი მოყრილი ჰქონდა ახალგაზრდობის თაიგულს. მართალია, ყველა მაყარი, დანარჩენი ახალგაზრდობა და თვით ნეფეც, საღამოზედ აჯანყებაში უნდა ჩაბმულიყო. მათ მიერ ქორწილში თავის მოყრა ერთგვარი პაემანი იყო. მაგრამ თელავის ჩეკა იქ დღისით გამოცხადდა და ხალხი სუფრიდგან აშალა. პატარძალმა კაცურად ჩაცმა მოასწრო და სასიკვდილოთ გამზადებულ ქმარს თან გაჰყვა. ვიღაცა ჩეკისტმა ქალი იცნო და ძალით გააპარა. დანარჩენი: ნეფე, მაყრები და სტუმრები დახვრიტეს.

ყველამ იცის მიტროპოლიტ ნაზარის და მთავარ დიაკონის კოხრეიძის დახვრეტის ამბავი. ყველამ იცის აგრეთვე, სოფელ რუისში, ფანიაშვილების მთელი გვარეულობის ამოულეტის ამბავიც. 29 აგვისტოს ღამეს, ბოლშევიკებს ქართველები ლოგინიდან მიჰყავდათ და ნამძინარევებს ხვრეტდნენ. [illegible] დახვრიტა ორი ათასი, ოთხი ათასი, ექვსი ათასი. ბოლშევიკები ირწმუნებოდნენ შემდეგ, რომ ხუთასი [illegible] ცის მეტი არ [illegible] თითქოს ხუთასი არ, [illegible] ქართველის სისხლი, [illegible] დაღვრილი, ცოტა იყოს!

და აი, იმ საშინელმა და გაუკითხავმა გარემოებამ, იმ გაუგონარმა ამბავმა, რომ აგვისტოს დღეებში ხოცავდნენ და ხვრეტდნენ არა მარტო აჯანყების მონაწილეთ, არამედ საზოგადოთ ქართველებს, იმიტომ რომ ისინი ქართველები იყვნენ, შექმნა ის მდგომარეობა, რომ ქართველებიც ქართველებად იხოცებოდნენ.

იქ, როცა საქმე ცარიელ იდეოლოგიას და დოგმას ეხება, ადამიანი მოჭახრაკებული, ოპორტუნისტული და კომპრომისული არსებაა. ყველამ ვიცით, რომ ვიდრე მამალი იყივლებდა, პეტრემ სამჯერ უარჰყო ქრისტე. ამიტომ ლაპარაკი ადამიანის რწმენის უდრეკელობაზედ ამაო გაზვიადებაა. ყოველი მეტაფიზიკური იდეოლოგია ელასტიურია და მზად არის ნემსის ყურში გაძვრეს. უდრეკია მხოლოდ სისხლის, მოდგმის ანუ რასის მნიშვნელობა ადამიანში და არის ერის ცხოვრებაში წუთი, როდესაც მხოლოდ ჯიში და სისხლი წარმართავს ადამიანის ჭკუას და ნებისყოფას. აგვისტოს აჯანყების დღეებში მტერი ჩვენს სისხლსა და ჯიშს შეეხო. ქართველებს ხვრეტდნენ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ და ქართველობაც ამან საკუთარი რასიული შეგნებით აღავსო. ამ დღეს ქართველები გმირულად იხოცებოდნენ. მაგრამ ამ დღეებში მარტო ეს ქართველები არ დახოცილან, ამ დღეებში ამ ქართველებთან ერთად მოკვდა ის რწმენაც, ჩვენში რეგვნულად და ხეპრულად ნაქადაგევი, რომ ძმები იყვნენ ქართველი და რუსის გლეხები და მუშები და ქართველი გლეხის მტერი მხოლოდ ქართველი მემამულე იყო ან სხვა ფულიანი კაცი. ქართველი გლეხი და ყოფილი მემამულე ამ დღეს ერთად იხოცებოდნენ. მათ ჰკლავდა რუსის გლეხი, რუსის პროლეტარი, რუსის თოფი და რუსის ტყვია. ამას გარდა მათ სოციალიზმის სახელითაც ჰკლავდნენ. აი, ამიტომ არის, რომ ამ სოციალიზმს ქართველი კაცი ამის შემდეგ კაკალს ვეღარ უგდებს. ეს სოციალიზმი შეიძლება ჩინებული რამ იყოს, მაგრამ მან ბევრი ქართული, სისხლი დალია. მე მოვიყვანე მხოლოდ რამდენიმე მაგალითი ათასებიდგან. მაგრამ, როცა გამომჟღავნდება ყველა ის ამბავი, თუ რა. გმირულად იხოცებოდნენ ქართველები აგვისტოს დღეებში, ცოცხლად დარჩენილი და მომავალი საქართველო სიამაყით იგრძნობს თუ რა იყო აგვისტოს აჯანყება. საქართველოს გამოღვიძება და მისი ნამდვილი ბრძოლა თავისი თავისუფლებისათვის ამ აგვისტოს დღეებიდგან დაიწყო.

ამიტომ, ერთხელ კიდევ მოვიგონოთ ისინი, ვინც ამ დღეებში საქართველოსათვის თავი დასდო, მოვიგონოთ აგრეთვე ისიც, ვინც იყო ამ ბრძოლის ბაირაღტარი — ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ყველა მათ საუკუნო ხსენება შევუთვალოთ.

**შალვა ამირეჯიბი**

---

მინდია ლაშაური ილია კუჭუხიძის ლიტერატურული ფსევდონიმია: თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ძველი და ერთგული სოციალ-ფედერალისტი, მწერალი და ჟურნალისტი ახლა უკვე 85 წლისაა და ცხოვრობს მიუნხენთან ახლოს, დაბა კირჰაიმში. იგი ავტორია რამდენიმე სქელტანიანი პროზაული ქმნილებისა, აგრეთვე მოგონებების წიგნისა, რომელთაც თავის დროს გულთბილად გამოეხმაურნენ და კარგი შეფასება მისცეს გრიგოლ რობაქიძემ, მიხაკო წერეთელმა, ვიქტორ ნოზაძემ, აკაკი პაპავამ, ალექსანდრე მანველიშვილმა და სხვებმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ილია კუჭუხიძე გახლავთ რადიო „თავისუფლების“ ლიტერატურული რედაქტორი და ბევრი საინტერესო გადაცემის ავტორი ქართული მწერლობის და საერთოდ ქართული კულტურის საჭირბოროტო საკითხებზე.

ბ-ნი ილია კუჭუხიძე ჩვენი გაზეთის მუდმივი მკითხველიც ბრძანდება და არაერთხელ გამოუთქვამს თავისი პირუთვნელი აზრი მის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების გარშემო. ამისი ერთი ბოლო ნიმუში გახლავთ მისი გამოხმაურება, რომელსაც დღეს ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ. ავტორის თხოვნით იგი მიუნხენიდან ჩამოგვიტანა და რედაქციას გადმოსცა გურამ შარაძემ, რისთვისაც მას ულრმეს მადლობას მოვახსენებთ.

„ლს“ რედაქცია

# წერილი მიუნხენიდან

თქვენი გაზეთის 1990 წლის 26 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულია ბატონ თამაზ წივწივაძის მეტად საყურადღებო სტატია სათაურით: „გაიღვიძეთ, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ“. ახალი ციკლიდან: „სალამი მარქსისტებს!“

ბატონი თამაზ წივწივაძე მეცნიერული საბუთების გამოყენებით, იძლევა ამ „მოძველებული“ მარქსისტის—გრიგოლ ბრეგაძის ნათელ სურათს.

ჩემს არქივში აღმოჩნდა ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ 1965 წლის აპრილის ნომერი, სადაც გამოქვეყნებულია ბატონ გრიგოლ ბრეგაძის არამეცნიერული, პროპაგანდისტული და „კომიაჩეიკის“ სტილზე დაწერილი „რეცენზია“ „სკკპ ისტორიის ფალსიფიკატორები“ შრომებზე:

**«Против фольсификации истории КПСС», издательство «Мысль», «Москва, 1964, 240 стр.; Г. А. Джангveладзе — «Критика буржуазных фольсификаторов политики КПСС», издательство АН Грузинской ССР, 1964.**

მე არ შევუდგები იმ აბდაუბდის განხილვა-გარჩევას, რაც მოცემულია გრიგოლ ბრეგაძის ხსენებულ რეცენზიაში, რადგან ის თავისი სტილით მეტად დამღლელია და მოსაწყენი; ამიტომ არ მინდა ოდნავადაც შევაწუხო ამ მხრივ პატივცემული გაზეთის „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია.

ბოდა, „საქართველოს კომუნისტის“ ხსენებული ნომრის 92-სა და 93-ს გვერდზე ბატონი გ. ბრეგაძე წერს: „სარეცენზიო წიგნი მოიგებდა, ავტორს რომ ემხილებინა აგრეთვე საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები — კ. კანდელაკი, მ. ლაშაური გრ. ურატაძე, გ. შარაშიძე და სხვები, რომლებიც ლენინური ეროვნული პოლიტიკისა და საქართველოს ისტორიის უხეშ ფალსიფიკაციას ეწევიან: უარყოფენ რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესიულ მნიშვნელობას, ამასხიჯებენ და იცავენ მენშევიკების სამი წლის სისხლიან დიქტატურას, ცდილობენ ყოველმხრივ დაამცირონ ქართველი ხალხის რევოლუციური მონაპოვარნი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში...“

თუ რას ნიშნავს „მეცნიერული კომუნიზმი“, ეს კარგად აქვს მოცემული თავის სტატიაში ბატონ თამაზ წივწივაძეს და ჩვენი განმარტება ამ მხრივ ზედმეტია. მხოლოდ დავუმატებდი ჩემის მხრივ: ნუთუ ვერ ხედავს ბატონი ბრეგაძე თუ კომუნიზმის იდეამ სადამდე მიიყვანა რუმინეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთ-სლოვაკეთი და გ.ფ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა? ამის გაგება ბატონ ბრეგაძის ანგარიშში არ შედის, რადგან მისი გონება დამძიმებულია მარქსისტული შხამით.

ამ სტრიქონების დამწერი არასდროს ყოფილა მენშევიკი, არც მარქსისტი (1924 წელს ჩეკისტური „მეთოდით“ არამც თუ მე, ათასი ჩემისთანა ძალით გაამარქსისტეს, მაგრამ გულში მაინც ანტიმარქსისტებად დავრჩით, ეს სხვათა შორის)... მაგრამ იძულებული ვარ დავიცვა მენშევიკური „სისხლიანი“ პერიოდი.

ვინ დახვრიტა მარია და მამია ორახელაშვილები, ბუდუ მდივანი, მალაქია ტოროშელიძე, კოტე ცინცაძე, ლავრენტი ქართველიშვილი, მიხა კახიანი, ლევან ღოღობერიძე, და რამდენი ერთი ჩამოვთვალო. ყველაფერ ამას ადგილი ჰქონდა გრიგოლ ბრეგაძის სათაყვანებელ „მეცნიერული კომუნიზმის“ დროს...

როცა საფუძვლიანად გავეცანი პატივცემულ თამაზ წივწივაძის ზემოთხსენებულ სტატიას, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ბრეგაძეს კარგად აქვს გავლილი „კომიაჩეიკისა“ და „აკადემიკოსის“ გიორგი ხაჭაპურიძის „ისტორიული სკოლა“.

48 წელზე მეტია, რაც გერმანიაში ვცხოვრობ, სამშობლოს —საქართველოს მკერდიდან მოწყვეტილი; მიუნხენში საკმაოდ ვიცნობ გერმანელ ისტორიკოსებს, მაგრამ არ გამიგონია არც „ბურჟუაზიული“ და არც „პროლეტარული“ ისტორიკოსი. დიდი ხანია თავს ვიტეხ ამაზე და დღესაც ვერ გამირკვევია. დიდი მადლობელი ვიქნები ბრეგაძისა თუ პრესის საშუალებით გამიმარტავს, თუ რას ნიშნავს „ბურჟუაზიული“ ან „პროლეტარული“ ისტორიკოსი.

მე ვფიქრობ, რომ ბოლოსდაბოლოს, დროა სამუდამოდ ჩამოვიბერტყოთ ჩვენში ძალით ჩათესლილი უცხო, ანტიქართული „მოძღვრება“ მარქსიზმისა და დავუბრუნდეთ ეროვნულ ძირებს, ბატონო პროფესორო!

**მინდია ლაშაური**

მიუნხენი, 1990 წ. თებერვალი

# საქართველო—მოკავშირე რესპუბლიკა თუ კოლონია?

1921 წელს საქართველო ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპირებული რომ იქნა, ყველამ ვიცით, მაგრამ მთავარი ის არის, რომ კომუნისტური პარტიის ბიუროკრატიულმა აპარატმა მსოფლიოს წინაშე თავის გასამართლებლად საქართველოს ისეთი გარეგნული ფორმა შეურჩია, თითქოს იგი სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკა იყო, სადაც მხოლოდ პოლიტიკური წყობა შეიცვალა და საკუთარი ნება-სურვილით შევიდა კავშირის შემადგენლობაში. ცენტრალური კომიტეტისა და უმაღლესი საბჭოს სახით რესპუბლიკას შეუქმნეს... მთავრობა და ნება დართეს, ჩამოეყალიბებინათ საკუთარი სამხედრო ფორმირებები (ქართული დივიზიების სახით) და ა. შ. ერთი სიტყვით, გარეგნულად იგი მართლაც სუვერენულ სახელმწიფოსავით გამოიყურებოდა, სინამდვილეში კი საქართველოს ტერიტორიაც, ნედლეულიც, წიაღისეულიც და ჰაერიც კი კრემლის საკუთრებას წარმოადგენდა, ქართველი კაცი კი საკუთარ მიწა-წყალზე დაქირავებულ იაფ სამუშაო ძალად აქციეს. საუბედუროდ, მშობლიურ მიწას (მოღალატე თავადებივით) წითელ თუმნიანებზე ყიდდნენ მარიონეტული მთავრობის ბიუროკრატი მოხელეები და ამიტომაც „მოძმე" რესპუბლიკებიდან: რუსეთიდან, ოსეთიდან, ინგუშეთიდან, დაღესტნიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან დაიწყო ჩვენს მიწაზე „იერიშის მიტანა", ვისაც ან ეცოტავებოდა მშობლიური მიწა, ან კიდევ არ ეპიტნავებოდა, ყველა საქართველოში გადმოდიოდა საცხოვრებლად. რაღა თქმა უნდა, ეს იმ „სუვერენული" რესპუბლიკის ბიუროკრატიული მთავრობის „მოღვაწეობის" შედეგი იყო, რომლისთვისაც საქართველოს მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა, სინამდვილეში კი „ჩრდილოეთიდან მოსულმა ხეტყვამ ქართლის ვენახი გაატიალა". მაგრამ თავად რუსეთი ხომ მონაა იმ იმპერიალისტურ-შოვინისტური რუსეთისა, რომლის პირმშოებიც იყვნენ თვით ლენინიცა და სტალინიც, სწორედ ამიტომ იყო, რომ სტალინს სიტყვაც არ დაუძრავს, როცა კომისიამ, ლენინის ინიციატივით, რესპუბლიკის მიწები ჩამოურიგა: რუსეთს, ოსეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიის თითქმის ერთი მეოთხედი ნაწილი (საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი) ყირიმში გაუცვალეს თურქეთს. აი, ამგვარი „სუვერენიტეტით" გაერთიანდით რესპუბლიკათა კავშირში. ასეთ ვითარებაში, 1924 წელს დაიწერა ჩვენი „სუვერენული" რესპუბლიკის სტალინური კონსტიტუცია, სადაც რესპუბლიკის ტერიტორია და მისი საზღვრები აღიარებულია ხელშეუხებ წმინდათაწმინდა რამბად. რაღა თქმა უნდა, კონსტიტუციის ეს მუხლი, დაცინვას უფრო ჰგავს, ისევე, როგორც კავშირიდან ნებაყოფლობითი გასვლის უფლება (და მრავალი სხვა). არც 1944 წელს ჰქონია ამ მუხლს კანონის ძალა, როცა ჩერქეზებს უნდობლობა გამოუცხადეს და ქლუხორის (თებერდა) რაიონიდან გაასახლეს (მათ ადგილზე კი ქართველები და სხვა ხალხი ჩაასახლეს), თვით რაიონი და მისი ტერიტორია 132 ათასი ჰექტარი საქართველოს შეუერთეს ისე, რომ ჩვენთვის არც კი უკითხავთ (ესეც თქვენი წმინდათაწმინდა, ხელშეუხები სახელმწიფო საზღვრები).

როგორც ხედავთ, საქართველო შოვინისტური რუსეთის კოლონია უფრო იყო, ვიდრე სუვერენული რესპუბლიკა, რადგანაც მის მიწა-წყალს „უფროსი ძმა" თავისი სურვილისამებრ ანაწილებდა, საზღვრები კი გამუდმებით განიცდიდა მეტამორფოზებს. გარდა იმისა, რომ საქართველოს ბიუროკრატიული აპარატის წაყრუებით, რესპუბლიკის ფარგლების შიგნით მიწებით ვაჭრობა იყო გაჩაღებული, კრემლი საქართველოს თანდათან აჭრიდა თურმე ტერიტორიებს და მართლაც, რომ შაგრენის ტყავივით აპატარავებდა (რ. მიმინოშვილი, „არ დაიჯერო"). თავდაპირველად ვერ წარმომედგინა, თუ შეიძლებოდა სიმართლე ყოფილიყო ის, რაც საკუთარი ყურით მოვისმინე, იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ ვერც სხვა დავაჯერე.

ამ რამდენიმე წლის წინ, წვეულებაზე მესტუმრა ერთი ნათესავი კაცი, რომელიც მაშინ სატყეო სამინისტროში მუშაობდა. ჩემი სტუმარი მთელი საღამო რატომღაც მოწყენილი იჯდა—არც დაულევია და არც უჭამია, მოკლედ ისე იყო, დანა პირს არ უხსნიდა. როცა მიზეზი ვკითხე, მითხრა: დღეს ჩემი ხელით გადავეცი რუსეთს საქართველოს მიწაო. რაღა თქმა უნდა, არ დავიჯერე, საზღვრების ხელყოფა, რესპუბლიკის მიწების მიტაცება განუკითხავად, ანტიკონსტიტუციური ქმედებაა. მაშინ მან რამდენიმე დღის მერე მომიტანა 1976 წელს გამოცემული კ. თარგამაძისა და ვ. ჩიხრაძის წიგნი „საქ. სსრ ტყის რესურსები", გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", ტირაჟი 1000 ც. სპეციალურ გრაფაში ნაჩვენებია, როგორ იცვლებოდა ხუთწლედების განმავლობაში რესპუბლიკის საერთო ტერიტორიის ფართობი: 1946 წელს რესპუბლიკის ტერიტორიის საერთო ფართობი იყო 8.285,7 ათასი ჰექტარი. 1951 წელს რესპუბლიკის საერთო ფართობი 8.418,8 ათასი ჰექტარი (მიემატა ქლუხორის რაიონი 132,6 ათასი ჰექტარით), 1956 წელს—7.586,8 ათასი ჰექტარი. 1961 წელს—7.266,9 ათასი ჰექტარი. 1973 წელს—6.981,8 ჰექტარი (იხ. „საქ. სსრ ტყის რესურსები", გვ. 46). წიგნში არაფერია ნათქვამი ტერიტორიის შემცირების კონკრეტული მიზეზებისა და საფუძვლიანობის შესახებ, ფაქტი არ არის შეფასებული, ერთვის მხოლოდ ზოგადი ხასიათის ასეთი უმნიშვნელო კომენტარი „ხოლო ტერიტორიის საერთო ფართობი შემცირდა საქართველოს მეზობელ რესპუბლიკებთან საზღვრების დაზუსტების გამო" (გვ. 49).

ვისაც კი ამ წიგნის მონაცემები ვაჩვენე, არავინ არ დაიჯერა, ზოგს სტატისტიკური უზუსტობა ეგონა, ზოგს კიდევ ღმერთმა უწყის რა... ერთი სიტყვით, ყველა ბურთივით პირში მჩრიდა საქართველოს სსრ კონსტიტუციის იმ მუხლს, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკის საზღვრები ხელშეუხებელია. ამ მონაცემების სიმართლეში ყველას ეჭვი ეპარებოდა, მათი გადამოწმება კი, მოგეხსენებათ, მაშინ თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ ნათქვამია, დრონი მეფობენო... როცა 1989 წელს მიწების უკანონო მიტაცების გამო ალაპარაკდნენ საქართველოში, კვლავ ვცადე ამ საკითხის წამოჭრა, მაგრამ ამჯერადაც უნდობლად შეხვდნენ წიგნში შეტანილ მონაცემებს. მაშინ, თავად გადავწყვიტე, ჩემს ხელთ არსებული მონაცემების ხელახლა შემოწმება. საკუთარი ინიციატივით მივმართე გეოგრაფიის კვლევით ინსტიტუტს, მაგრამ ამ ინსტიტუტის თანამშრომლებმა სათანადო პასუხი ვერ გამცეს და მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოში გამაგზავნეს. დიდი ხალისით არც იქ შემხვედრიან, მაგრამ სახალხო ფრონტის სახელით მისულს, უბრალოდ, უარი ვერ მითხრეს და მაჩვენეს ყოველწლიური ბალანსები 1950 წლიდან მოყოლებული 1958 წლამდე. ყოველწლიურ ბალანსებში აღინიშნება რესპუბლიკის ტერიტორიის ფართობის ცვლილება წლის განმავლობაში, ყოველი წლის დასაწყისში კეთდება მოხსენებითი ბარათი მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს მიერ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად, სწორედ ეს ბარათები ერთვის აღნიშნულ ბალანსებს. ამ ბარათების მიხედვით, 1950 წელს საქართველოს ტერიტორია მთლიანად შეადგენდა 8.251,1 ათას ჰექტარს, სადაც 618,6 ათასი ჰექტარი არის გრძელვადიანი იჯარით აღებული მეზობელი რესპუბლიკების მიწები (ძირითადად საძოვრები), ფაქტიურად, საქართველოს საკუთარი ტერიტორია იყო 7.648,6 ათასი ჰ. 1951 წელს საქართველოს საერთო სარგებლობის ტერიტორია, გრძელვადიანი იჯარით აღებული მიწების ხარჯზე გაიზარდა 8.418,8 ათას ჰ.-მდე, რა თქმა უნდა, რესპუბლიკის საკუთარი ფართობი უცვლელი დარჩა, ე. ი. 7.648,6 ჰექტარი (ათასებში). 1955 წლის ბალანსში (გვ. 7, 1956 წლის 8 თებერვლის მოხსენებითი ბარათი) ნაჩვენებია, რომ ქლუხორის რაიონის (132,6 ათასი ჰ.) სტავროპოლის მხარისათვის გადაცემასთან დაკავშირებით, რსფსრ-ს გამგებლობაში გადავიდა 402,1 ათასი ჰექტარი, ე. ი. ჩამოგვაჭრეს შემოერთებულზე სამჯერ და უფრო მეტი ფართობი, რომ იტყვიან, ხელს გააყოლეს 265,5 ათასი ჰ. მიწა, ქართველი ერის საკუთრება.

ყველას მოგეხსენებათ, რომ 1956 წელს აშენდა დარიალჰესი, სწორედ ამ ჰესის მშენებლობა გახდა კიდევ ერთი საბაბი ჩვენი მიწების მიტაცებისა. ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, ყაზბეგის რაიონიდან რსფსრ-ს განმგებლობაში გადავიდა 82,4 ათასი ჰექტარი, ხოლო დუშეთის რაიონიდან 147,5 ათასი ჰექტარი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 იანვრის ბრძანებულების თანახმად (იხ. 1957 წლის ბალანსი, გვ. 2. მოხსენებითი ბარათი). როგორც ვხედავთ, 1951 წლიდან 1958 წლამდე რსფსრ-მ უკანონოდ, ე. ი. კონსტიტუციური უფლების დარღვევით მიითვისა 499,4 ათასი ჰექტარი, ქლუხორის ჩათვლით კი 632 ათასი ჰექტარი, რაც უტოლდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიათა საერთო ფართობს ერთად აღებულს.

1958 წლის ბალანსის მიხედვით, საქართველოს სსრ ტერიტორია ჯერ კიდევ იყო 7.018,2 ათასი ჰექტარი, მაგრამ დღეისათვის ენციკლოპედიური თუ სხვა ოფიციალური მონაცემებით, 6.970 ათასი ჰექტარია. ე. ი. 1958 წლიდან დღემდე ისევ მიუტაცებიათ 46,6 ათასი ჰექტარი. მაგრამ როგორ, როდის და რა მოტივით, ვეღარ დავადგინე, რადგანაც მუშაობის დროს წარმოქმნილმა წინააღმდეგობებმა არ მომცა საშუალება კვლევის გაგრძელებისა, მეც ჯერჯერობით ამით შემოვიფარგლე, მაგრამ გადაუდებელ საქმედ მიმაჩნია, ამ საკითხის ბოლომდე გამოკვლევა და სამზეოზე გამოტანა, რათა, ფართო საზოგადოებამ გაიგოს ამ სამწუხარო ფაქტის შესახებ. საქართველო კრემლისათვის იყო არა სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკა, არამედ — იმპერიის კოლონია, არც მეტი, არც ნაკლები. დღეისათვისაც სუვერენული საქართველოს არსებობა ჯერჯერობით სრული ილუზიაა — არსებობს მხოლოდ იმპერიის კოლონია. აქედან გამომდინარე, „ჩვენს უფროს ძმას" ვალად ედება უკანონოდ მიტაცებული საქართველოს მიწები, რაც აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

ვფიქრობ, შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს ამ მტკივნეული საკითხის ფართო სამსჯავროზე გამოტანას, რადგანაც დამოუკიდებლობის მიღწევის შემთხვევაში დღის წესრიგში დადგება საქართველოში პირვანდელი საზღვრების აღდგენის საკითხი, ამის გარდა, გამორიცხული არ არის, რომ უფრო მეტი ფართობი აქვთ წალებული, ვიდრე ოფიციალური ცნობებიდან ვიცით. საჭიროა, ფაქტიურად არსებული მდგომარეობის დაწვრილებით შესწავლა. კარგი იქნება, თუ ამ საკითხით დაინტერესდებიან სპეციალისტები, მცოდნე, კომპეტენტური პირები, რათა გლობალურად დამუშავდეს და მომზადდეს ეს საკითხი, საჭირო საბუთების მოსაპოვებლად ყველა ინსტანციის კარი ღია უნდა იყოს, რადგანაც წართმეული თითოეული გოჯი მშობლიური მიწა, რომელსაც სისხლისა და სიცოცხლის ფასად იცავდნენ ჩვენი წინაპრები, ყველა ქართველის სატკივარია.

**ფრიდონ გოძიაშვილი**

---




უახლოეს ხანში ქართველი მკითხველი მიიღებს ჟურნალ-ალმანახს „ლიტერატურა და ხელოვნება", რომელიც დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურისა და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტების ბაზაზე.

ერთობლივი გამოცემის საჭიროება, მრავალ მიზეზთან ერთად, თანამედროვე საზოგადოების დეჰუმანიზაციის პირობებში განსაზღვრა სამეცნიერო საზოგადოებაში ფესვგადგმულმა მომიჯნავე დარგთა, კერძოდ, ჰუმანიტარულ დისციპლინათა გადაჭარბებული დიფერენციაციის, ვიწრო სპეციალიზაციის ტენდენციამ. სწორედ ამიტომ, „ლიტერატურა და ხელოვნების" ერთ-ერთი ამოცანაც ამა თუ იმ მხატვრული მოვლენის ფართო ესთეტიკური სპექტრით გაშუქებაა.

ჟურნალი ეცდება ლიტერატურისა და ხელოვნების კვლევის ფარგლების გაფართოებას, მწერლობის, ხელოვნების სხვადასხვა დარგთა შედარებით-ტიპოლოგიურ ანალიზს. მის ფურცლებზე გამოქვეყნდება მასალები ლიტერატურის, ხელოვნების ისტორიის, თეატრმცოდნეობის, მუსიკისმცოდნეობის, კინომცოდნეობის დარგებიდან.

რედაქცია ვარაუდობს, გამოაქვეყნოს წერილები კულტურის, ფილოსოფიის, ისტორიის, ენათმეცნიერების ზოგად პრობლემებზე. ჟურნალის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა კულტუროლოგიურ დარგში ეროვნულ კონცეფციათა შემუშავებაზე ზრუნვა, რაც გულისხმობს მწვავე დისკუსიებს, აგრეთვე, მძაფრი პუბლიცისტური ხასიათის წერილების გამოქვეყნებას მის ფურცლებზე. დიდი ადგილი დაეთმობა ქართველ და მსოფლიო მასშტაბით ცნობილ მწერალთა, ხელოვანთა, მეცნიერთა წერილებს, ესეებს.

„ლიტერატურა და ხელოვნება" შეეცდება, ფართოდ გაგებული აკადემიზმით, ავტორთა პროფესიული ოსტატობით, ამასთანავე, მკითხველთან მისთვის გასაგებ და მისაწვდომ ენაზე საუბრით შეძლებისდაგვარად დაუპირისპირდეს დილეტანტიზმს, რომელიც სიკეთეს არ უქადის ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებას.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ლიტერატურა და ხელოვნება" მხოლოდ ზოგადი ისტორიული თუ თეორიული საკითხების გაშუქებითა და ანალიზით არ შემოიფარგლება. იგი ერის, საზოგადოების სულიერ ცხოვრებას, ქართული ინტელიგენციის ბედს ასახავს შემოქმედთა პორტრეტების, მოგონებების, მემუარების საშუალებით.

რედაქცია სიამოვნებით იწვევს სათანამშრომლოდ მეცნიერებს, მწერლებს, საქართველოს გარეთ მოღვაწე როგორც ქართველ, ისე უცხოელ ქართველოლოგებს.

ივნისის დასაწყისში გამოვა ჟურნალის პირველი ნომერი, რომელშიც იბეჭდება ვახტანგ ბერიძის, ოთარ ჩხეიძის, ნაირა გელაშვილის, თამაზ ჩხენკელის, ვახტანგ ცინცაძის, რევაზ თვარაძის, ემზარ კვიტაიშვილისა და სხვათა ნაშრომები; რუბრიკით „სილუეტები" გამოქვეყნდება მასალა პავლე ინგოროყვას, სიმონ ჩიქოვანის, გურამ ასათიანის, ოტია პაჭკორიას და სხვათა შესახებ, ქვეყნდება, აგრეთვე, წერილები თანამედროვე, ძველი ქართული და ევროპული მწერლობისა და ხელოვნების საკითხებზე.

„ლიტერატურა და ხელოვნება" გამოვა ორ თვეში ერთხელ. მიმდინარე წელს ჟურნალი გაიყიდება „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში, ხოლო ხელმოწერა გამოცხადდება 1991 წლისათვის.

რედაქციის მისამართია: 380008, თბილისი, მერაბ კოსტავას (ყოფილი ლენინის) ქუჩა №5. ტელეფონი: 99-06-63.

„ლიტერატურული საქართველოს" დღევანდელი ნომერი 8 გვერდიანია.

მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი უჩა შერაზადიშვილი.



რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 18 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით

ფასი 20 კაპ.